



## დასკვნა

„საქართველოს 2025 წლის სახელმწიფო

ბიუჯეტის შესახებ”

საქართველოს კანონის პროექტზე

(III წარდგენა)

სახელმწიფო აუდიტის სამსახური

## შინაარსი

დასკვნა.....	5
1. სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის პროექტის ზოგადი მიმოხილვა.....	8
2. მაკროეკონომიკური დაშვებები და ფისკალური დისციპლინა .....	9
2.1. მაკროეკონომიკური დაშვებები და კავშირი ფისკალურ პარამეტრებთან .....	9
2.2. ფისკალური წესები.....	12
2.3. მაკროეკონომიკური და ფისკალური რისკების ანალიზი.....	17
3. სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლები.....	23
4. სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელები .....	25
4.1. პროგრამული ბიუჯეტირება .....	28
4.2. კაპიტალური პროექტები.....	29
5. სახელმწიფო ვალი და მთავრობის ვალი .....	33
5.1. სახელმწიფო ვალი .....	33
5.2. მთავრობის ვალი.....	34
5.3. საგარეო წყაროებიდან მისაღები კრედიტები.....	36
5.4. მთავრობის ვალის მომსახურება და დაფარვა.....	38

## **დასკვნა „საქართველოს 2025 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტზე (III წარდგენა)**

საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 39-ე მუხლისა და „სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა მოამზადა დასკვნა „2025 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტის საბოლოო ვარიანტით გათვალისწინებული შემოსულობებისა და გადასახდელების საფუძვლიანობისა და კანონიერების შესახებ.

საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 38-ე მუხლით განსაზღვრულია ის ინფორმაცია, რომელსაც სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ კანონის პროექტი უნდა მოიცავდეს. ამავე მუხლის შესაბამისად, სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტს თან ერთვის ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტი, ასევე თანდართული მასალები მოიცავს:

- სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის განმარტებით ბარათს, რომელიც შეიცავს შემდეგ ინფორმაციას: ძირითადი მაკროეკონომიკური ინდიკატორებისა და ფისკალური მაჩვენებლების პროგნოზებსა და მათ აღწერას; ფისკალური მაჩვენებლების პროგნოზებს და მათ აღწერას; ინფორმაციას სახელმწიფო ბიუჯეტით დაფინანსებული ძირითადი ღონისძიებებისა და პროგრამების შესახებ;
- მიმდინარე წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების მოკლე მიმოხილვას;
- წლიური საბიუჯეტო კანონის ამოქმედებისათვის საჭირო საკანონმდებლო ცვლილებების პაკეტს;
- დამატებით ინფორმაციას ბიუჯეტით განსაზღვრული პროგრამების/ქვეპროგრამების, მათი მოსალოდნელი შედეგებისა და შესრულების შეფასების ინდიკატორების შესახებ;
- ინფორმაციას სსიპ/ა(ა)იპ-ების მიერ საქართველოს კანონმდებლობით ნებადართული ნებისმიერი წყაროდან მისაღები შემოსულობების, გასაწევი გადასახდელებისა და ნაშთის ცვლილების შესახებ;
- ინფორმაციას სამთავრობო სექტორისთვის მიკუთვნებული სახელმწიფო საწარმოების მიერ საქართველოს კანონმდებლობით ნებადართული ნებისმიერი წყაროდან მისაღები შემოსულობების, გასაწევი გადასახდელებისა და ნაშთის ცვლილების შესახებ;
- ინფორმაციას ფისკალური რისკების შესახებ;
- ინფორმაციას საინვესტიციო/კაპიტალური პროექტების მართვის მეთოდოლოგიით განსაზღვრული კრიტერიუმების შესაბამისად შერჩეული და შეფასებული იმ საინვესტიციო/კაპიტალური პროექტების შესახებ, რომელთა დასაწყებად ასიგნებები გათვალისწინებულია დასაგეგმი წლის ბიუჯეტში ან/და დასაგეგმის შემდგომი სამი წლის ფისკალურ მაჩვენებლებში;
- ინფორმაციას საგადასახადო დანახარჯების შესახებ.

## **მთავრობის პასუხისმგებლობა „2025 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტთან დაკავშირებით**

საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 38-ე მუხლის შესაბამისად, საქართველოს მთავრობა პასუხისმგებელია „2025 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტის, მისი თანდართული მასალებისა და ქვეყნის ძირითადი მიმართულებებისა და მონაცემების დოკუმენტის მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე საქართველოს საბიუჯეტო

კოდექსის 38-ე მუხლით გათვალისწინებული მოთხოვნების შესაბამისად, მათ შორის იმ დაშვებების განსაზღვრასა და განმარტებაზე, რომლებსაც „სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტით წარმოდგენილი ფინანსური ინფორმაცია ეყრდნობა.

### **სახელმწიფო აუდიტის სამსახურის პასუხისმგებლობა**

სახელმწიფო აუდიტის სამსახური პასუხისმგებელია მოამზადოს დასკვნა „2025 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტით გათვალისწინებული შემოსულობებისა და გადასახდელების საფუძვლიანობისა და კანონიერების შესახებ. დასკვნის მომზადება ემყარება სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ ჩატარებულ შემოწმების პროცედურებს, რომლებიც წარმართება მარწმუნებელი გარიგებების საერთაშორისო სტანდარტის 3400 „პერსპექტიული ფინანსური ინფორმაციის შემოწმება“ (ISAE 3400) შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტი ითვალისწინებს შემოწმების დაგეგმვასა და წარმართვას იმგვარად, რომ მიღებულ იქნეს საკმარისი და შესაფერისი მტკიცებულებები იმის შესახებ:

- უზრუნველყოფენ თუ არა ის მნიშვნელოვანი მაკროეკონომიკური და სხვა დაშვებები, რომლებსაც ბიუჯეტის კანონპროექტით წარმოდგენილი ფინანსური ინფორმაცია ეყრდნობა, აღნიშნული ინფორმაციის სათანადო საფუძველს;
- არის თუ არა ბიუჯეტის კანონპროექტით წარმოდგენილი ფინანსური ინფორმაცია სათანადოდ მომზადებული არსებული დაშვებების საფუძველზე და კანონიერი მოქმედი კანონმდებლობის გათვალისწინებით;
- არის თუ არა ბიუჯეტის კანონპროექტით წარმოდგენილი ინფორმაცია ფინანსური ანგარიშგების არსებული პრინციპების შესაბამისად წარდგენილი, ხოლო ყველა არსებითი დაშვება ადეკვატურად განმარტებული თანდართულ მასალებში.

ჩატარებული შემოწმების პროცედურები შეირჩევა აუდიტორის პროფესიულ განსჯაზე დაყრდნობით. საყურადღებოა, რომ სახელმწიფო აუდიტის სამსახურის დასკვნა არ ითვალისწინებს სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის პროექტით გათვალისწინებული გადასახდელების განაწილების შესახებ მთავრობის დისკრეციული გადაწყვეტილებების შეფასებას.

## დასკვნა

2024 წლის განმავლობაში გაგრძელებული დადებითი ეკონომიკური ტენდენციების შედეგად 10 თვის საშუალო ეკონომიკურმა ზრდამ 10.0% შეადგინა. 2025 წლის რეალური მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ) ზრდის საპროგნოზო მაჩვენებელი კი 6.0%-ის დონეზეა განსაზღვრული.

2025 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის პროექტის მესამე წარდგენით შემოსულობები 27.6 მლრდ ლარს, ხოლო გადასახდელები 27.9 მლრდ ლარს შეადგენს და 2024 წლის გეგმასთან შედარებით ორივე იზრდება, შესაბამისად, 3.0 მლრდ და 2.9 მლრდ ლარით. შემოსულობების ზრდა ძირითადად განპირობებულია „შემოსავლების“ მუხლის 2.7 მლრდ ლარით ზრდით, ხოლო გადასახდელების - „ხარჯების“ მუხლის ასევე 2.7 მლრდ ლარით ზრდით.

რეგიონში არსებული გეოპოლიტიკური მდგომარეობის გათვალისწინებით, მნიშვნელოვანია ქვეყანაში ფისკალური დისციპლინის მდგრადობა და ფისკალური პოლიტიკის პასუხების სწორად განსაზღვრა. აქედან გამომდინარე, 2025 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონპროექტის დამტკიცებამდე, მიზანშეწონილია, გათვალისწინებულ იქნეს შემდეგი საკითხები:

- 2025 წლისთვის განსაზღვრული ეკონომიკური ზრდის საპროგნოზო მაჩვენებელი (6.0%) საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებისა და სარეიტინგო სააგენტოების პროგნოზებთან შედარებით მცირედით ოპტიმისტურია;
- მიზანშეწონილია, გაგრძელდეს მუშაობა სახელმწიფო აუდიტის სამსახურის რეკომენდაციის შესაბამისად და „მაკროეკონომიკური სცენარების ანალიზის“ დოკუმენტში აისახოს ინფორმაცია იდენტიფიცირებული რისკების სხვადასხვა ხარისხითა და კომბინაციით მატერიალიზაციის ეფექტების შესახებ, რაოდენობრივ ჭრილში;
- მნიშვნელოვანია, კანონპროექტს ახლდეს ინფორმაცია სხვადასხვა ეკონომიკური სცენარის რეალიზების შემთხვევაში ფისკალური პოლიტიკის შესაბამისი პასუხების შესახებ;
- 2025 წლის ერთიანი ბიუჯეტის დეფიციტი 2.5%-ის დონეზეა პროგნოზირებული და „ეკონომიკური თავისუფლების შესახებ“ ორგანული კანონით დადგენილი 3.0%-იანი ლიმიტის ფარგლებშია;
- კანონპროექტით წარმოდგენილი პროგნოზებით ადგილი აქვს არაფინანსური აქტივების წმინდა ზრდის ნომინალური მაჩვენებლის სტაბილიზაციას, რაც შემდგომ წლებში ერთიანი ბიუჯეტის გადასახდელებში კაპიტალური დანახარჯების წილს შეამცირებს;
- 2022-2023 წლებთან შედარებით, მომდევნო წლებში მზარდი სხვაობით ხასიათდება ერთიანი ბიუჯეტის დეფიციტისა და პირველადი ბალანსის მაჩვენებლები, რაც ერთიანი ბიუჯეტის საპროცენტო ხარჯების მზარდი დინამიკითაა გამოწვეული;
- ბიუჯეტის კანონპროექტს არ ახლავს სამთავრობო სექტორს მიკუთვნებული სახელმწიფო საწარმოების მიერ მისაღები შემოსულობების, გასაწევი გადასახდელებისა და ნაშთის ცვლილების შესახებ ინფორმაციის დანართი, რაც საბიუჯეტო კოდექსის მოთხოვნაა;
- ფისკალურ პარამეტრებზე პოტენციური გავლენის მასშტაბის გათვალისწინებითა და კანონმდებლობით განსაზღვრული მოთხოვნების ჯეროვანი შესრულებისათვის, მნიშვნელოვანია, სამთავრობო სექტორს მიკუთვნებული საწარმოების მიერ დამატებითი ყურადღება გამახვილდეს ფინანსთა სამინისტროსთვის წარსადგენი ინფორმაციის

სისრულისა და სიზუსტის გაუმჯობესების საკითხებზე საბიუჯეტო პროცესის ყველა ეტაპზე;

- ორგანული კანონით განსაზღვრული 60%-იანი ნიშნულის ფარგლებში პროგნოზირებული ვალის წესის მიზნებისთვის დათვლილი მაჩვენებელიც, რომელიც 35.9%-ს უტოლდება;
- ვალის წესის მაჩვენებელში გათვალისწინებულია სამთავრობო სექტორის საწარმოების ვალდებულებები. ამავდროულად, მთავრობის ვალის მდგრადობის უზრუნველსაყოფად, მნიშვნელოვანია, სამთავრობო სექტორად დაკლასიფიცირებული საწარმოების მიერ ვალის აღების შესაძლებლობები დარეგულირდეს საკანონმდებლო დონეზე;
- ფისკალური რისკების ძირითადი წყაროებია სახელმწიფოს საწარმოები, კვაზი-ფისკალური აქტივობები, ელექტროენერჯის შესყიდვასთან დაკავშირებული კონტრაქტები და PPP პროექტები;
- 2023 წელს სახელმწიფო საწარმოთა ჯამურმა ზარალმა 206 მლნ ლარი შეადგინა. გასული წლებისგან განსხვავებით, გაცვლით კურსს არ ჰქონია არსებითი გავლენა საწარმოების ფინანსურ შედეგებზე;
- საყურადღებოა, რომ სახელმწიფო საწარმოთა აქტივების მნიშვნელოვანი ნაწილის დაფინანსების წყარო ვალდებულებებია, რაც სახელმწიფოს წინაშე არსებული ფისკალური რისკების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წყაროა;
- კანონპროექტზე თანდართულ „ფისკალური რისკების ანალიზის“ დოკუმენტში წარმოდგენილი ინფორმაცია სახელმწიფო საწარმოების მიერ სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული დაფინანსების შესახებ არ მოიცავს „სხვა ხარჯების“ მუხლიდან მიღებული დაფინანსების შესახებ მონაცემებს;
- „ფისკალური რისკების ანალიზის“ დოკუმენტში განხილულია ელექტროენერჯის შესყიდვის კონტრაქტებთან დაკავშირებული პოტენციური რისკები და დანახარჯები, თუმცა აღნიშნული ინფორმაცია საჭიროებს შემდგომ ხარისხობრივ გაუმჯობესებას და დეტალიზებას;
- მნიშვნელოვანი ფისკალური რისკები იჩენს თავს ქვეყანაში მოქმედ დეპოზიტების დაზღვევის სისტემაში. აღნიშნულიდან გამომდინარე, მიზანშეწონილია, „ფისკალური რისკების ანალიზის“ დოკუმენტს დაემატოს ინფორმაცია დეპოზიტების დაზღვევის სისტემიდან მომდინარე პოტენციური რისკების შესახებ;
- რაც შეეხება სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელებს, მხარჯავი დაწესებულებების პროგრამების/ქვეპროგრამების ბიუჯეტების განსაზღვრის პროცესში მიზანშეწონილია, გათვალისწინებულ იქნეს გასული და მიმდინარე წლების შესრულების ტენდენციებიც, რათა დასაგეგმი საბიუჯეტო წლისთვის უზრუნველყოფილ იქნეს საბიუჯეტო სახსრების ეფექტიანი გამოყენება და დაგეგმილი ასიგნებების სრულად ათვისება;
- 2022 წლიდან მიმდინარე ხარჯები ძირითადად ზრდადი, კაპიტალური ხარჯები კი კლებადი ტენდენციით ხასიათდება. კერძოდ, კანონპროექტით წარმოდგენილი პროგნოზით, ნაერთი ბიუჯეტის კაპიტალური ხარჯების მოცულობა მშპ-სთან მიმართებით 2028 წლისთვის 6.8%-მდე მცირდება;
- ქვეყანაში ოპტიმალური ფისკალური სივრცის არსებობის პარალელურად, მნიშვნელოვანია, კაპიტალური დანახარჯების სტაბილური დონის განსაზღვრა და შენარჩუნება, რასაც არსებითი გავლენა აქვს ქვეყნის ეკონომიკურ პოტენციალზე;

- 2025 წლისთვის მთავრობის ვალის საპროგნოზო ზღვრული მოცულობა 35.6 მლრდ ლარის დონეზეა განსაზღვრული (მშპ-ს 35.9%), რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელს 2.2 მლრდ ლარით (6.6%-ით) აღემატება;
- „მთავრობის ვალის მართვის“ სტრატეგიით განსაზღვრული ნიშნულების საბიუჯეტო პროცესში უკეთ ინტეგრირებისთვის, მიზანშეწონილია, ფინანსთა სამინისტრომ სტრატეგია განაახლოს სახელმწიფო ბიუჯეტის კანონპროექტის საბოლოო ვერსიის შემუშავებამდე;
- 2022 წლიდან გლობალური მონეტარული პოლიტიკის გამკაცრების პირობებში, მნიშვნელოვნადაა გაზრდილი მთავრობის საგარეო ვალის საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთი, რომელიც 2024 წლის 31 ოქტომბრის მდგომარეობით 3.3%-ს შეადგენს;
- საყურადღებოა, რომ ბოლო წლებში ცვლადი საპროცენტო განაკვეთის მქონე სესხების წილი მთავრობის საგარეო ვალში მზარდი ტენდენციით ხასიათდება და 2024 წლის 31 ოქტომბრის მდგომარეობით 51.9%-ს შეადგენს. ვალის პორტფელში აღნიშნული ტიპის სესხების მაღალი წილი, მონეტარული პოლიტიკის გლობალური გამკაცრების პირობებში, ვალის მომსახურების (პროცენტის) ხარჯის ზრდას იწვევს;
- კანონპროექტზე თანდართული პროგნოზებით, მთავრობის ვალის საპროცენტო ხარჯების ნაერთი ბიუჯეტის შემოსავლებთან ფარდობის მაჩვენებელი 2025 წლისთვის 6.4%-ია, რაც ისტორიულ მაქსიმუმს წარმოადგენს და საშუალოვადიან პერიოდშიც მაღალ ნიშნულზე ნარჩუნდება;
- მთავრობის ვალის მომსახურების ხარჯების მზარდი ტენდენციის გათვალისწინებით, მნიშვნელოვანია, მთავრობის ვალის მართვის განახლებულ სტრატეგიაში აისახოს ვალის მომსახურების ხარჯების შეფასების ინდიკატორ(ებ)ი და სტრატეგიით განსაზღვრული მიზნობრივი მაჩვენებლების პოტენციური გავლენის შეფასება ამ ინდიკატორ(ებ)ზე;
- მთავრობის ვალთან დაკავშირებული სხვადასხვა რისკ-ფაქტორების სრულფასოვანი ანალიზის მიზნით, მიზანშეწონილია, ფინანსთა სამინისტრომ „მთავრობის ვალის მდგრადობის ანალიზი“ მოამზადოს IMF-ისა და WB-ის განახლებულ მეთოდოლოგიაზე დაყრდნობით;
- მიუხედავად პროგრესისა, პროგრამული ბიუჯეტი ჯერ კიდევ არ წარმოადგენს სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის ნაწილს და სისტემური ხარვეზებით ხასიათდება. ამ კუთხით საყურადღებოა, პროგრამების/ქვეპროგრამების ფარგლებში მოსალოდნელი შედეგების გამართულობა, შედეგების შეფასების ინდიკატორების ხარისხი, მათ შორის ცხადი სამიზნე მაჩვენებლების არსებობა და ცდომილების ალბათობისა და შესაძლო რისკების განსაზღვრა.

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შეფასებით, გარდა დასკვნაში მოცემული შენიშვნებისა, „2025 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტი სათანადოდ არის მომზადებული არსებული დავებების საფუძველზე, შესაძლებელია შეფასდეს საფუძვლიანად და კანონიერად მოქმედი ნორმატიული ბაზის გათვალისწინებით.

# 1. სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის პროექტის ზოგადი მიმოხილვა

2025 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ საქართველოს კანონის პროექტის საბოლოო ვარიანტი მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ) რეალური ზრდის 6.0%-იან (ნომინალურ გამოსახულებაში 99.2 მლრდ ლარი) პროგნოზზე არის დაგეგმილი. ეკონომიკური ზრდის პროგნოზი 0.5 პ.პ.-ით იზრდება წინა ვერსიასთან შედარებით. კანონპროექტის წარმოდგენილი ვარიანტით 2025 წლის შემოსულობების პროგნოზი 27.6 მლრდ ლარის, ხოლო გადასახდელების გეგმა 27.9 მლრდ ლარის დონეზეა განსაზღვრული. მიმდინარე წელთან შედარებით ორივე მაჩვენებელი იზრდება, შესაბამისად, 1.9 მლრდ და 2 მლრდ ლარით. შემოსულობების ზრდა ძირითადად განპირობებულია „შემოსავლების“ მუხლის 1.7 მლრდ ლარით ზრდით, ხოლო გადასახდელების - „ხარჯების“ მუხლის 1.9 მლრდ ლარით ზრდით. კანონპროექტის წინა ვერსიასთან შედარებით შემოსულობები გაზრდილია 710 მლნ ლარით, ხოლო გადასახდელები - 895 მლნ ლარით.



\* დიაგრამაზე მოცემული კლების/ზრდის მაჩვენებლები წარმოადგენს 2025 წლის პარამეტრების შედარებას 2024 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის ცვლილების პროექტის ანალოგიურ მაჩვენებლებთან.




## 2. მაკროეკონომიკური დაშვებები და ფისკალური დისციპლინა

### 2.1. მაკროეკონომიკური დაშვებები და კავშირი ფისკალურ პარამეტრებთან

ქვეყნის საშუალოვადიანი ფისკალური გეგმა და სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ კანონის ძირითადი პარამეტრები ემყარება ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტში (შემდგომში - BDD დოკუმენტი) წარმოდგენილ მაკროეკონომიკურ პროგნოზებს. შესაბამისად, საპროგნოზო მაჩვენებლების რეალისტურობა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ფისკალური ჩარჩოს ფორმირებისა და წლიური ბიუჯეტის დაგეგმვის/შესრულების პროცესში.


2025 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის პროექტის საბოლოო ვერსიაზე თანდართულ 2025-2028 წლების BDD დოკუმენტში 6.0%-ზეა განსაზღვრული ეკონომიკური ზრდის მაჩვენებელი და 0.5 პ.პ.-ით აღემატება კანონპროექტის პირველად ვარიანტზე თანდართულ პროგნოზს, ხოლო მიმდინარე ანგარიშის დეფიციტი 0.3 პ.პ.-ით არის შემცირებული და 4.3%-ს უტოლდება. პერიოდის საშუალო და პერიოდის ბოლოს ინფლაციის მაჩვენებლები კვლავ 3.2%-ის დონეზე განისაზღვრა.

დიაგრამა 1. BDD დოკუმენტის სხვადასხვა ვერსიაში წარმოდგენილი პროგნოზების შედარება 2024-2025 წლებისათვის.




საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებისა და სარეიტინგო სააგენტოების მიერ შეფასებული ეკონომიკური ზრდის საპროგნოზო მაჩვენებლები ერთმანეთისგან მცირე განსხვავებებით ხასიათდება. ყველაზე მაღალი მაჩვენებელი აქვთ ფინანსთა სამინისტროსა და საერთაშორისო სავალუტო ფონდს (IMF) – 6.0%. შედარებით კონსერვატიული პროგნოზები აქვთ მსოფლიო ბანკსა (WB) და აზიის განვითარების ბანკს (ADB), შესაბამისად, 5.2% და 5.5%. ყველაზე დაბალ მაჩვენებელს, 4.6%-ის ოდენობით, პროგნოზირებს ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი (EBRD). საქართველოს ეროვნული ბანკის (NBG) პროგნოზი 5.0%-ია.

დიაგრამა 2. საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებისა და სარეიტინგო სააგენტოების ეკონომიკური ზრდის პროგნოზები საქართველოსთვის.<sup>1</sup>



ფინანსთა სამინისტროს მიერ წარმოდგენილი პროგნოზებით, სამომხმარებლო ფასების საშუალოწლიური ინფლაციის მაჩვენებელი 2025 წლისთვის მიზნობრივ ნიშნულთან (3.0%) ახლოსაა განსაზღვრული და 3.2%-ს შეადგენს. საქართველოს ეროვნული ბანკის (NBG) პროგნოზია 2.9%, საერთაშორისო სავალუტო ფონდის (IMF) - 2.6%, ხოლო აზიის განვითარების ბანკის (ADB) - 3.5%. აღსანიშნავია, რომ 2025 წლის მაჩვენებლები მაღალია მიმდინარე წლის პროგნოზებთან შედარებით.


დიაგრამა 3. საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებისა და სარეიტინგო სააგენტოების ინფლაციის პროგნოზები საქართველოსთვის.<sup>2</sup>



კანონპროექტის საბოლოო ვარიანტით, 2025 წელს ნომინალური მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ) საპროგნოზო მაჩვენებელი 2024 წელთან შედარებით 8.3 მლრდ ლარით (9.2%-ით) იზრდება და 99.2 მლრდ ლარის დონეზეა განსაზღვრული (1.9 მლრდ ლარით აღემატება კანონპროექტის პირველადი ვერსიის პროგნოზს).


<sup>1</sup> IMF, [World Economic Outlook](#), ოქტომბერი, 2024  
 WB, [Europe and Central Asia Economic Update](#), ოქტომბერი, 2024  
 ADB, [Asian Development Outlook](#), სექტემბერი, 2024  
 EBRD, [Regional Economic Prospects](#), სექტემბერი, 2024  
 NBG, [მონეტარული პოლიტიკის ანგარიში](#), ოქტომბერი, 2024  
<sup>2</sup> IMF, [World Economic Outlook](#), ოქტომბერი, 2024  
 ADB, [Asian Development Outlook](#), სექტემბერი, 2024  
 NBG, [მონეტარული პოლიტიკის ანგარიში](#), ოქტომბერი, 2024

დიაგრამა 4. ნომინალური მშპ-ს ზრდისა და ზრდაში მისი შემადგენელი კომპონენტების კონტრიბუციების ტენდენცია.<sup>3</sup>



ექსპორტის საპროგნოზო მოცულობა 2025 წლისთვის 18.2 მლრდ აშშ დოლარია, რაც 1.5 მლრდ აშშ დოლარით (9.0%-ით) აღემატება 2024 წლის ანალოგიურ მაჩვენებელს. რაც შეეხება იმპორტს, მისი საპროგნოზო მოცულობა 1.6 მლრდ აშშ დოლარით (8.1%-ით) იზრდება მიმდინარე წელთან შედარებით და 20.9 მლრდ აშშ დოლარს შეადგენს. შესაბამისად, სავაჭრო ბრუნვა პროგნოზირებულია 39.1 მლრდ აშშ დოლარის დონეზე და 3.1 მლრდ აშშ დოლარით (8.5%-ით) აჭარბებს 2024 წლის საპროგნოზო მაჩვენებელს. სავაჭრო სალდო განსაზღვრულია -3.0 მლრდ აშშ დოლარის დონეზე და 72 მლნ აშშ დოლარით (2.8%-ით) ჩამორჩება 2024 წლის საპროგნოზო მაჩვენებელს.


დიაგრამა 5. სახელმწიფო ბიუჯეტის კანონზე თანდართული BDD დოკუმენტის სხვადასხვა ვერსიაში მოცემული ექსპორტ-იმპორტის საპროგნოზო მაჩვენებლების შედარება 2024-2025 წლებისთვის (მლრდ აშშ დოლარი).



<sup>3</sup> საპროგნოზო მონაცემები ეყრდნობა 2025 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონპროექტზე თანდართულ პროგნოზებს.

მიმდინარე ანგარიშის დეფიციტის მშპ-სთან ფარდობის პროგნოზი 0.3 პ.პ.-ით მცირდება კანონპროექტის წინა ვერსიასთან შედარებით (განსაზღვრულია 4.3%-ის დონეზე), რაც ძირითადად ნომინალური მშპ-ს ზრდით არის გამოწვეული.

დიაგრამა 6. მიმდინარე ანგარიშის დეფიციტი მშპ-სთან მიმართებით და მის ფორმირებაზე მოქმედი ფაქტორები ნომინალურ გამოსახულებაში (მლრდ ლარი; %).



## 2.2. ფისკალური წესები

გრძელვადიან პერიოდში ფისკალური პოლიტიკის სტაბილურობის უზრუნველსაყოფად შემუშავებულია ფისკალური წესები. საქართველოში მოქმედი ფისკალური წესები<sup>4</sup> განსაზღვრულია „ეკონომიკური თავისუფლების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით (შემდგომში - ორგანული კანონი). ფისკალური პოლიტიკის მიმართულებებსა და მიზნებს, ასევე, საშუალოვადიანი საბიუჯეტო პარამეტრების საპროგნოზო მაჩვენებლებს, განსაზღვრავს BDD დოკუმენტი.

### □ ბიუჯეტის ბალანსის წესი (ბიუჯეტის დეფიციტი)


სახელმწიფო ბიუჯეტის კანონპროექტის საბოლოო ვარიანტის მიხედვით 14 მლნ ლარით იზრდება ერთიანი ბიუჯეტის დეფიციტის (შემდგომში დეფიციტი) მოცულობა, თუმცა ნომინალური მშპ-ს პროგნოზის ზრდის ხარჯზე უცვლელადაა შენარჩუნებული მისი მშპ-სთან ფარდობის მაჩვენებელი (ერთიანი ბიუჯეტის დეფიციტია 2.5%).

კანონპროექტის მიხედვით, 2024 წლის როგორც არსებული ბიუჯეტის კანონის, ასევე კანონის ცვლილების პროექტის პარამეტრებთან შედარებით, იზრდება ერთიანი ბიუჯეტის დეფიციტის პროგნოზირებული მაჩვენებელი, შესაბამისად, 277 მლნ ლარითა და 310 მლნ ლარით. კერძოდ,

<sup>4</sup> ბიუჯეტის ბალანსის წესი - ერთიანი ბიუჯეტის დეფიციტი არ უნდა აღემატებოდეს მშპ-ს 3.0%-ს.  
 ვალის წესი - საქართველოს მთავრობის ვალის ფარდობა მშპ-სთან არ უნდა აღემატებოდეს 60.0%-ს.  
 შემოსავლების წესი - ორგანული კანონი, აქციზის გარდა, ზღუდავს ნებისმიერი გადასახადის განაკვეთის გაზრდას რეფერენდუმის გარეშე.

ორივე შემთხვევაში იზრდება შემოსავლები (მოქმედ კანონთან შედარებით 3.7 მლრდ ლარით, ხოლო კანონის ცვლილების პროექტთან შედარებით 2.1 მლრდ ლარით), რასაც თან სდევს ხარჯების ზრდაც (მოქმედ კანონთან შედარებით 3.3 მლრდ ლარით, ხოლო კანონის ცვლილების პროექტთან შედარებით 2.6 მლრდ ლარით). განსხვავებულია ტენდენცია არაფინანსური აქტივების ცვლილებასთან მიმართებით, რომელიც 2024 წლის მოქმედ კანონთან შედარებით 679 მლნ ლარით იზრდება, ხოლო კანონის ცვლილების პროექტთან შედარებით კლებულობს 171 მლნ ლარით. მთლიანობაში, ხარჯვითი ნაწილის ზრდა აჭარბებს შემოსავლების ზრდას და 2025 წლის დეფიციტის პროგნოზი 2.5 მლრდ ლარს უტოლდება, რაც მშპ-ს 2.5%-ია და შესაბამისობაშია ორგანული კანონით განსაზღვრულ 3.0%-იან ლიმიტთან.

დიაგრამა 7. 2025 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის პროექტის მესამე წარდგენით განსაზღვრული ერთიანი ბიუჯეტის დეფიციტის ფაქტობრივი/საპროგნოზო მაჩვენებლები ნომინალურ გამოხატულებასა (მლნ ლარი) და მშპ-სთან მიმართებით (%).



\* აღნიშნავს პროგნოზს


როგორც ფაქტობრივი, ასევე მომდევნო წლების პროგნოზირებული მაჩვენებლების ჭრილში, ერთიანი ბიუჯეტის შემოსავლები და ხარჯები ზრდის დინამიკით ხასიათდება და ძირითად შემთხვევებში, არაფინანსური აქტივების ცვლილებაც. თუმცა, ხარჯების ზრდის დინამიკა გაცილებით ახლოსაა შემოსავლების ზრდის დინამიკასთან, რაც 2022-2028 წლებისათვის საოპერაციო სალდოს მეტწილად სტაბილურ დონეს უზრუნველყოფს საშუალოდ 5.0 მლრდ ლარის დონეზე. ამასთანავე, საყურადღებოა, რომ წარმოდგენილი პროგნოზებით ადგილი აქვს არაფინანსური აქტივების წმინდა ზრდის ნომინალური მაჩვენებლის მნიშვნელოვან სტაბილიზაციას, რაც შემდგომ წლებში ერთიანი ბიუჯეტის გადასახდელებში კაპიტალური დანახარჯების წილის შემცირებაზე მიუთითებს.

2022-2023 წლებთან შედარებით, მომდევნო წლებში მზარდი სხვაობით ხასიათდება ერთიანი ბიუჯეტის დეფიციტისა და პირველადი ბალანსის მაჩვენებლები,<sup>5</sup> რაც ერთიანი ბიუჯეტის საპროცენტო ხარჯების მზარდი დინამიკითაა გამოწვეული. 2025 წელს საპროცენტო ხარჯების კონტრიბუცია დეფიციტის ფორმირებაში დაახლოებით 72%-ია, მაშინ როდესაც ერთიანი

<sup>5</sup> პირველადი ბალანსი გაიანგარიშება როგორც ბიუჯეტის დეფიციტი, რომელიც არ მოიცავს საპროცენტო ხარჯს. შესაბამისად, გამოითვლება როგორც შემოსავლებს - ხარჯები - არაფინანსური აქტივების ცვლილება + საპროცენტო ხარჯი.

ბიუჯეტის შემოსავლებსა და პროგრამულ ხარჯებს შორის სხვაობის კონტრიბუცია მხოლოდ 28%-ს შეადგენს. წარმოდგენილი პროგნოზებით, საპროცენტო ხარჯების კონტრიბუცია მომდევნო წლებში მცირდება, რაც მეტწილად დეფიციტის საპროგნოზო მაჩვენებლის ზრდას უკავშირდება (საპროცენტო ხარჯებთან დაკავშირებული ინფორმაცია დეტალურადაა წარმოდგენილი ქვეთავში „სახელმწიფო და მთავრობის ვალი“).

დიაგრამა 8. ერთიანი ბიუჯეტის ანალიტიკური მაჩვენებლები (მლრდ ლარი) (2024-2028 წლებისთვის წარმოდგენილია საპროგნოზო მაჩვენებლები).<sup>7</sup>



გასათვალისწინებელია, რომ „ხედვა 2030 საქართველოს განვითარების სტრატეგიის“ მიხედვით,<sup>8</sup> 2024 წლისათვის ბიუჯეტის დეფიციტის მშპ-სთან ფარდობის სამიზნე მაჩვენებლად განსაზღვრულია 2.3%, 2027 წლისათვის კი 1.8%.

<sup>6</sup> ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ცვლილების ის ნაწილი, რომლებიც კონკრეტული პროგრამების/პროექტების განხორციელებას ემსახურება.


<sup>7</sup> მონაცემები ეყრდნობა 2025 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის პროექტზე თანდართული „ძირითადი ეკონომიკური და ფინანსური ინდიკატორების“ პროგნოზების საბაზო სცენარს.

<sup>8</sup> საქართველოს მთავრობის დადგენილება № 517, 2022 წლის 3 ნოემბერი.

<https://matsne.gov.ge/ka/document/view/5604706?publication=0>

IMF-თან არსებული პროგრამის ფარგლებში განსაზღვრული მოდიფიცირებული დეფიციტის მაჩვენებელი,<sup>9</sup> კანონის პროექტის საბოლოო ვარიანტით, 65 მლნ ლარით იზრდება წინა წარდგენასთან შედარებით, თუმცა უცვლელია მშპ-სთან მიმართებით (2.5%). მაჩვენებელი საშუალოვადიან პერიოდში კლებადი ტენდენციით ხასიათდება.

დიაგრამა 9. IMF-თან არსებული პროგრამის ფარგლებში განსაზღვრული მოდიფიცირებული დეფიციტის დინამიკა საშუალოვადიან პერიოდში.



\* აღნიშნავს პროგნოზს

საყურადღებოა, რომ საბიუჯეტო კოდექსის 38-ე მუხლის მე-4 ნაწილის ე<sup>1</sup> ქვეპუნქტის მიხედვით, სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის პროექტს თან უნდა ახლდეს ინფორმაცია სამთავრობო სექტორისთვის მიკუთვნიებული სახელმწიფო საწარმოების მიერ საქართველოს კანონმდებლობით ნებადართული ნებისმიერი წყაროდან მისაღები შემოსულობების, გასაწევი გადასახდელებისა და ნაშთის ცვლილების შესახებ. გარდა ამისა, კოდექსის მე-6 მუხლის მიხედვით, სამთავრობო სექტორს მიკუთვნიებული სახელმწიფო საწარმოების ბიუჯეტის მაჩვენებლები გათვალისწინებული უნდა იქნას სახელმწიფო მმართველობის შესაბამისი დონის კონსოლიდირებული ბიუჯეტის ფორმირებისას. შესაბამისად, მათი ფინანსური პარამეტრები უნდა მონაწილეობდეს ერთიანი ბიუჯეტის დეფიციტის მაჩვენებლის გამოთვლაში.

ფინანსთა სამინისტროს ინფორმაციით, სამთავრობო სექტორს მიკუთვნიებული სახელმწიფო საწარმოების ბიუჯეტის მაჩვენებლები, აგრეგატულ დონეზე ასახულია 2025 წლის ერთიანი ბიუჯეტის პარამეტრებში. მიუხედავად ამისა, აღნიშნული საწარმოების მიერ მისაღები შემოსულობების, გასაწევი გადასახდელებისა და ნაშთის ცვლილების შესახებ ინფორმაცია კანონპროექტს თან არ ახლავს, მსგავსად 2024 წლისა. ფინანსთა სამინისტროს ინფორმაციით, აღნიშნულის მიზეზია ბიუჯეტის დაგეგმვის ეტაპზე საწარმოების მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის სისრულის, სიზუსტისა და ხარისხის კუთხით არსებული ნაკლოვანებები. აღსანიშნავია, რომ ბიუჯეტის დაგეგმვის ეტაპის მსგავსად, არსებითი ხარვეზებია ბიუჯეტის შესრულების ანგარიშგების ეტაპზე სამთავრობო სექტორს მიკუთვნიებული საწარმოების მიერ წარმოდგენილი მონაცემების სისრულის, ხარისხისა და სიზუსტის კუთხით, რაზეც ყურადღება იქნა გამახვილებული სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მოხსენებაში 2023 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშთან დაკავშირებით.<sup>10</sup> აქედან გამომდინარე, ფისკალურ პარამეტრებზე პოტენციური გავლენის მასშტაბის გათვალისწინებითა და კანონმდებლობით განსაზღვრული

<sup>9</sup> აღნიშნული მაჩვენებელი GFSM 2014 კლასიფიკაციისგან განსხვავებით დეფიციტის გაანგარიშებისას ფინანსური აქტივებით განხორციელებულ ოპერაციებსა და დაბრუნების ქვეანგარიშზე არსებულ რესურსებსაც ითვალისწინებს.


<sup>10</sup> სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მოხსენება „საქართველოს 2023 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის შესახებ“. გვ. 83.

მოთხოვნების ჯეროვანი შესრულებისათვის, მნიშვნელოვანია, სამთავრობო სექტორს მიკუთვნებული საწარმოების მიერ დამატებითი ყურადღება გამახვილდეს ფინანსთა სამინისტროსთვის წარსადგენი ინფორმაციის სისრულისა და სიზუსტის გაუმჯობესების საკითხებზე საბიუჯეტო პროცესის ყველა შესაბამის ეტაპზე. სამთავრობო სექტორს მიკუთვნებული საწარმოების მონაცემების საბიუჯეტო დოკუმენტაციაში წარმოდგენის საჭიროებაზე ასევე ყურადღება იქნა გამახვილებული IMF-ის ფისკალური გამჭვირვალობის 2024 წლის ანგარიშში.<sup>11</sup>

□ ვალის წესი

ორგანული კანონით ვალის წესის მიზნებისთვის დათვლილი მაჩვენებელი განსაზღვრულია როგორც მთავრობის ვალისა<sup>12</sup> და „საჯარო და კერძო პარტნიორობის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე აღებული ვალდებულებების მიმდინარე ღირებულების ჯამის ფარდობა მშპ-სთან, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს 60%-ს.

დიაგრამა 10. ვალის წესის მიზნებისთვის დათვლილი მაჩვენებელი და მისი მიმართება „ეკონომიკური თავისუფლების შესახებ“ ორგანული კანონით დადგენილ 60%-იან ზღვართან.<sup>13</sup>



\* აღნიშნავს პროგნოზს

სახელმწიფო ბიუჯეტის კანონპროექტით, 2025 წლის ბოლოს მთავრობის ვალის ზღვრული მოცულობა 35.6 მლრდ ლარის დონეზეა განსაზღვრული, რაც მშპ-ს 35.9%-ია. იმავე პერიოდში „საჯარო და კერძო პარტნიორობის შესახებ“ კანონის საფუძველზე აღებული ვალდებულებების მიმდინარე ღირებულების საორიენტაციო მოცულობა 29 მლნ ლარსა და მშპ-ს 0.03%-ს შეადგენს. აღნიშნული მონაცემების გათვალისწინებით, ვალის წესის საპროგნოზო მაჩვენებელი 2025 წლის ბოლოსთვის 35.9%-ს უტოლდება და 60%-იანი ნიშნულის ფარგლებშია მოქცეული.

<sup>11</sup> IMF, Fiscal Transparency Evaluation, თებერვალი, 2024. გვ. 15

<sup>12</sup> ორგანული კანონის მიზნებისთვის, მთავრობის ვალი „სახელმწიფო ვალის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული სახელმწიფო ვალისგან განსხვავებით არ მოიცავს ეროვნული ბანკის ვალს IMF-ის მიმართ და დამატებით მოიცავს საბიუჯეტო ორგანიზაციების სესხის სახით არსებულ ვალს (მუნიციპალიტეტების, სახელმწიფოს ერთეულის მიერ შექმნილი სსიპ/ა(ა)იპ-ებისა და სამთავრობო სექტორად დაკლასიფიცირებული სახელმწიფო საწარმოების ვალდებულებებს).

<sup>13</sup> 2023 წლის ფაქტობრივი მონაცემი მოიცავს სამთავრობო სექტორს მიკუთვნებული 5 სახელმწიფო საწარმოს ვალდებულებას 39 მლნ ლარის ოდენობით, რომელიც არ არის აღრიცხული მთავრობის ვალის სტატისტიკაში.



წარმოდგენილი პროგნოზებით, მაჩვენებელი საშუალოვადიან პერიოდში კლების ტენდენციით ხასიათდება და 2028 წლისთვის 34.4%-მდე მცირდება.

ვალის წესის მაჩვენებელთან დაკავშირებით, საყურადღებოა, რომ 2022 წელს საბიუჯეტო კოდექსში განხორციელებული ცვლილებით,<sup>14</sup> სამთავრობო სექტორს მიკუთვნებული სახელმწიფო საწარმოების ვალდებულებები დაკლასიფიცირდა მთავრობის ვალის შემადგენელ ნაწილად. ამასთან, აღსანიშნავია, რომ ამ საწარმოების მიერ სესხის აღებასთან დაკავშირებული უფლებამოსილებისა და პასუხისმგებლობის საკითხები ცხადი სახით კანონმდებლობით განსაზღვრული არ არის. სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მოხსენებაში „2023 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის შესახებ“ იდენტიფიცირებული იქნა დამატებით 5 სამთავრობო სექტორს მიკუთვნებული სახელმწიფო საწარმო, რომელთაც 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით გააჩნდათ სასესხო ვალდებულებები, ჯამურად 39 მლნ ლარის ოდენობით. აღნიშნული თანხა არ იყო ასახული მთავრობის ვალის სტატისტიკაში.<sup>15</sup>

იმის გათვალისწინებით, რომ ცენტრალური, ავტონომიური და მუნიციპალური ხელისუფლების ორგანოებისა და მათ მიერ დაფუძნებული სსიპ/ა(ა)იპ-ების მიერ სესხების აღების/გაცემის პროცედურებს ადგენს საბიუჯეტო კოდექსი და „სახელმწიფო ვალის შესახებ“ კანონი, ქვეყანაში მთავრობის ვალის მდგრადობის უზრუნველსაყოფად, მნიშვნელოვანია, სამთავრობო სექტორად დაკლასიფიცირებული საწარმოების მიერ ვალის აღების შესაძლებლობები დარეგულირდეს საკანონმდებლო დონეზე. აღნიშნულ საკითხზე ყურადღება გამახვილდა სახელმწიფო აუდიტის სამსახურის 2022 და 2023 წლების „სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის შესახებ“ მოხსენებებში.

### 2.3. მაკროეკონომიკური და ფისკალური რისკების ანალიზი

საჯარო ფინანსების ეფექტიანი მართვისა და მაკროეკონომიკური სტაბილურობის უზრუნველსაყოფად, მნიშვნელოვანია მაკროეკონომიკური და ფისკალური რისკების ანალიზი, რაც მათი წარმატებული მართვის წინაპირობაა.

#### □ მაკროეკონომიკური რისკების ანალიზი

შეიცვალა სახელმწიფო ბიუჯეტის კანონპროექტის საბოლოო ვერსიაზე თანდართული „მაკროეკონომიკური სცენარების ანალიზის“ დოკუმენტი, სადაც ოთხი ნეგატიური რისკის ნაცვლად წარმოდგენილია 3 ნეგატიური რისკი.<sup>16</sup> განახლებულ დოკუმენტში აღარ ფიგურირებს „გამკაცრებული მონეტარული პოლიტიკის შენარჩუნებიდან“ მომდინარე პოტენციური შოკი, რაც 2024 წლის გლობალური მონეტარული პოლიტიკის განვითარების ტრაექტორიის ტენდენციებს უკავშირდება (იხ. სახელმწიფო და მთავრობის ვალის ქვეთავი). წარმოდგენილ დოკუმენტში ასევე განახლებულია მონაცემები რისკების მატერიალიზაციის ანალიზთან დაკავშირებით. დოკუმენტის ხარისხობრივი გაუმჯობესების ფონზე, მიზანშეწონილია, გაგრძელდეს მუშაობა აღნიშნული მიმართულებით და მასში აისახოს ინფორმაცია იდენტიფიცირებული რისკების

<sup>14</sup> საქართველოს კანონი საქართველოს საბიუჯეტო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ, N 2384-IXმს-XXმ, 15.12.2022

<sup>15</sup> მოხსენება „საქართველოს 2023 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის შესახებ“, გვ. 33.

<sup>16</sup> 1. ფულადი შემოდინების შემცირება; 2. რეგიონული რისკების გაგრძელება; 3. გლობალური ეკონომიკური აქტივობისა და სავაჭრო ბრუნვის შემცირება.


სხვადასხვა ხარისხითა და კომბინაციით მატერიალიზაციის ეკონომიკურ პარამეტრებზე პოტენციური გავლენის მასშტაბის შესახებ რაოდენობრივ ჭრილში.

აქვე, უნდა აღინიშნოს, რომ წარმოდგენილ კანონპროექტს არ ახლავს დეტალური ინფორმაცია სხვადასხვა ეკონომიკური სცენარის რეალიზების შემთხვევაში ფისკალური პოლიტიკის შესაბამისი მოსალოდნელი პასუხების შესახებ. IMF-ის მიხედვითაც, რისკების იდენტიფიცირების შემდეგ, მნიშვნელოვანია შემუშავდეს მათი მართვის სტრატეგია, სადაც განხილული იქნება ფისკალური პოლიტიკის სხვადასხვა პასუხები რისკების ზეგავლენის შესამცირებლად.<sup>17</sup>

□ ფისკალური რისკების ანალიზი

კანონპროექტზე თანდართულ „ფისკალური რისკების ანალიზის“ დოკუმენტში გაანალიზებულია სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით მოქმედი საწარმოებიდან (შემდგომში - სახელმწიფო საწარმო), კვაზი-ფისკალური აქტივობებიდან, ელექტროენერჯის შესყიდვასთან დაკავშირებული კონტრაქტებიდან და PPP პროექტებიდან<sup>18</sup> მომდინარე ფისკალური რისკები. დადებითად უნდა შეფასდეს ის ფაქტი, რომ გარდა ზემოაღნიშნულისა, დოკუმენტს დაემატა კლიმატის ცვლილებებიდან და სტიქიური მოვლენებიდან მომდინარე ფისკალურ რისკებთან დაკავშირებული ინფორმაცია, დემოგრაფიულ ცვლილებებთან დაკავშირებული რისკები და სასამართლო დავებიდან მომდინარე ფისკალური რისკები.

დიაგრამა 11. სახელმწიფო საწარმოების მოგების (დაბეგვრამდე) და კურსთაშორისი ცვლილების გამორიცხვით მოგების (დაბეგვრამდე) დინამიკა (მლნ ლარი).<sup>19</sup>



<sup>17</sup> IMF, Fiscal Transparency Handbook, 2018, გვ. 97

<sup>18</sup> PPP პროექტებიდან მომდინარე ვალდებულებებთან დაკავშირებით ინფორმაცია წარმოდგენილია ანგარიშის ქვეთავში - ფისკალური წესები.

<sup>19</sup> დიაგრამა 12-სა და დიაგრამა 13-ზე წარმოდგენილი მონაცემები არ ითვალისწინებს მარაბდა-კარწახის რკინიგზის ფინანსურ მაჩვენებლებს, რადგან ფინანსთა სამინისტროს ინფორმაციით, სახელმწიფო საწარმოთა სექტორიზაციის ეტაპზე კომპანია არ მიეკუთვნა არც სახელმწიფო კორპორაციების და არც სამთავრობო სექტორს. მარაბდა-კარწახის რკინიგზის ვალდებულებების მოცულობამ 2023 წლის ბოლოს 2.8 მლრდ ლარი შეადგინა, აქტივებმა 2.0 მლრდ ლარი, ხოლო 2023 წლის ზარალმა 29 მლნ ლარი.


დიაგრამაზე წარმოდგენილ მონაცემებში კურსთაშორისი სხვაობით გამოწვეული მოგება დაბეგვრამდე მაჩვენებლის გამოსათვლელად შესაბამისი წლის მოგებას დაბეგვრამდე ემატება კურსთაშორისი სხვაობით გამოწვეული ზარალი და აკლდება კურსთაშორისი სხვაობით გამოწვეული მოგება.

სახელმწიფო საწარმოების კუთხით დოკუმენტში განხილულია 200 საწარმოს ნაერთი ფინანსური მაჩვენებლები. დადებითად უნდა შეფასდეს ის ფაქტი, რომ დოკუმენტში ერთმანეთისგან გამიჯნულია სახელმწიფო კორპორაციათა სექტორად და სამთავრობო სექტორად დაკლასიფიცირებული საწარმოების ფინანსური მაჩვენებლები.

დოკუმენტის მიხედვით, 2023 წელი საწარმოებმა 206 მლნ ლარიანი ზარალით დაასრულეს.<sup>20</sup> აღსანიშნავია, რომ გასული წლებისგან განსხვავებით საწარმოების ფინანსურ შედეგებზე გაცვლით კურსს არსებითი გავლენა არ ჰქონია.

საყურადღებოა, რომ სახელმწიფო საწარმოთა აქტივების მნიშვნელოვანი ნაწილის დაფინანსების წყარო ვალდებულებებია, რაც სახელმწიფოს წინაშე არსებული ფისკალური რისკების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წყაროა.

დიაგრამა 12. სახელმწიფო საწარმოების ნაერთი ვალდებულებები (მლნ ლარი) და ვალდებულებების წილი აქტივებში (%).




„ფისკალური რისკების ანალიზის“ დოკუმენტში წარმოდგენილია ინფორმაცია სახელმწიფო საწარმოების მიერ სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული დაფინანსების შესახებ სხვადასხვა საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლების მიხედვით. მათ შორის, დოკუმენტში მოცემულია ინფორმაცია საწარმოების მიერ სუბსიდიების და სესხების სახით მიღებული დაფინანსების შესახებ, თუმცა არაა ასახული „სხვა ხარჯების“<sup>21</sup> მუხლიდან საწარმოებზე გადაცემული თანხების შესახებ ინფორმაცია.

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ანალიზით, 2023 წელს ხუთი სამინისტროს<sup>22</sup> კონტროლს ქვეშ მყოფმა საწარმოებმა სახელმწიფო ბიუჯეტის „ხარჯების“ მუხლიდან ჯამურად 500 მლნ ლარი მიიღეს. აღნიშნული თანხიდან 407 მლნ ლარი კაპიტალური პროექტების დაფინანსებას მოხმარდა. თანხის დარჩენილი ნაწილი კი ცალკეული აქტივობების სუბსიდირებაზე, კომპანიების ფუნქციონირების ხარჯების ან/და მათ ბალანსზე რიცხული ვალდებულებების მომსახურებაზე/დაფარვაზე მიიმართა.<sup>23</sup> აღნიშნული მუხლიდან საწარმოების დაფინანსებას ადგილი ჰქონდა წინა წლებშიც.


<sup>20</sup> მონაცემი წარმოდგენილია მარაბდა-კარწახის რკინიგზის გარეშე, ხოლო მისი ჩათვლით ზარალი 235 მლნ ლარია.  
<sup>21</sup> სხვა მიმდინარე ტრანსფერები და სხვა კაპიტალური ტრანსფერები.  
<sup>22</sup> რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო; ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო; გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო; იუსტიციის სამინისტრო; ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო.  
<sup>23</sup> მაგალითად, ფუნქციონირების ხარჯების დაფარვისთვის თანხა გადაერიცხათ შპს „საქართველოს მელიორაცია“ და შპს „საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანია“. ფუნქციონირების ხარჯებისა და ვალდებულებების

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შეფასებით, მიზანშეწონილია, „ფისკალური რისკების ანალიზის“ დოკუმენტში წარმოდგენილი მონაცემები მოიცავდეს სრულფასოვან ინფორმაციას სახელმწიფო საწარმოების მიერ ბიუჯეტიდან მიღებული დაფინანსების შესახებ. ამ საკითხზე ყურადღება იქნა გამახვილებული სახელმწიფო აუდიტის სამსახურის წინა ანგარიშებშიც. აღნიშნული ინფორმაციის წარმოდგენის რეკომენდაციას იძლევა ღია ბიუჯეტის ინდექსის 2021 წლის შეფასებაც.<sup>24</sup>

დიაგრამა 13. სახელმწიფო საწარმოებისთვის სახელმწიფო ბიუჯეტიდან გადარიცხული თანხები დაფინანსების სახის მიხედვით (მლნ ლარი).



დიაგრამა 14. სახელმწიფო საწარმოებისთვის სახელმწიფო ბიუჯეტიდან გადარიცხული თანხები მაკონტროლებელი უწყებების მიხედვით (მლნ ლარი).<sup>25</sup>



დაფარვისთვის კი - შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია“. ჯამურად 2023 წელს, ფუნქციონირების ხარჯების დასაფინანსებლად, „სხვა ხარჯების“ მუხლიდან, საწარმოებს გადაერიცხათ 64.3 მლნ ლარი.

<sup>24</sup> IBP, [Open Budget Survey 2021](#), გვ. 5


<sup>25</sup> სხვა სამინისტროები აერთიანებს იუსტიციის სამინისტროსა და ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს.

„ფისკალური რისკების ანალიზის“ დოკუმენტში ასევე განხილულია ელექტროენერჯის შესყიდვის კონტრაქტებთან დაკავშირებული პოტენციური რისკები და დანახარჯები, თუმცა აღნიშნული ინფორმაცია საჭიროებს შემდგომ ხარისხობრივ გაუმჯობესებასა და დეტალიზებას.

ქვეყნის ფისკალური რისკების მნიშვნელოვანი წყაროა პირობითი ვალდებულებები. შესაბამისად, მათ სრულფასოვნად იდენტიფიცირებას და საჯარო ფინანსების მართვის პროცესში ინტეგრირებას გრძელვადიან პერიოდში ფისკალური მდგრადობის შენარჩუნებისთვის კრიტიკული მნიშვნელობა გააჩნია.<sup>26</sup>

ამ თვალსაზრისით საყურადღებოა, საქართველოში არსებული დეპოზიტების დაზღვევის სისტემა, საიდანაც მომდინარე რისკების ასახვა „ფისკალური რისკების ანალიზის“ დოკუმენტში არ ხდება.<sup>27</sup> აღნიშნული სისტემა 2017 წლიდან ფუნქციონირებს და 2023 წლის ბოლომდე უზრუნველყოფდა როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირების დეპოზიტების დაზღვევას 15,000 ლარამდე ოდენობით. 2024 წლიდან კი დაზღვევის ლიმიტი 30,000 ლარამდე გაიზარდა. 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, სისტემის მიერ დაზღვეული დეპოზიტების მოცულობა 6.9 მლრდ ლარს, ხოლო სადაზღვევო ფონდის<sup>28</sup> ოდენობა, 193 მლნ ლარს შეადგენდა, საიდანაც 187 მლნ ლარი განთავსებული იყო სახაზინო ფასიან ქაღალდებში.<sup>29</sup> საყურადღებოა, რომ დეპოზიტების დაზღვევის სისტემის შესახებ საქართველოს კანონით, სადაზღვევო ფონდში აკუმულირებულმა თანხებმა უნდა მიაღწიოს ფონდის მიზნობრივ ოდენობას, რომელიც დაზღვეული დეპოზიტების მთლიანი მოცულობის 6%-ს შეადგენს.<sup>30</sup> 2024 წლიდან სადაზღვევო ლიმიტების გაზრდა განხორციელდა აღნიშნული ლიმიტის მიუღწევლობის მიუხედავად.<sup>31</sup> 2024 წლის 31 აგვისტოს მდგომარეობით, ყველა ბანკში სისტემის მიერ ჯამურად დაზღვეული დეპოზიტების მოცულობა 3 მლრდ ლარზე მეტით გაიზარდა და 10.1 მლრდ ლარს გაუტოლდა.

დიაგრამა 15. დაზღვეული დეპოზიტების ჯამური მოცულობა (მლნ ლარი).



<sup>26</sup> IMF, [Fiscal Transparency Handbook](#), 2018 გვ. 95

<sup>27</sup> საქართველოს კანონი [დეპოზიტების დაზღვევის სისტემის შესახებ](#).

<sup>28</sup> აქტივების ჯამური მოცულობა, რომელიც გამოიყენება სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას დეპოზიტორებისთვის დაზღვეული დეპოზიტების ასანაზღაურებლად.

<sup>29</sup> 2024 წლის 24 სექტემბრის მდგომარეობით, სადაზღვევო ფონდიდან სახაზინო ფასიან ქაღალდებში ინვესტირებული თანხა 233.9 მლნ ლარია.


<sup>30</sup> დეპოზიტების დაზღვევის სისტემის შესახებ კანონის მე-11 მუხლის მე-4 პუნქტი.

<sup>31</sup> 2023 წლის ბოლოს ლიმიტის მისაღწევად საჭირო იყო ფონდში 412 მლნ ლარის აკუმულირება, თუმცა რეალურად აკუმულირებული იყო აღნიშნული თანხის მხოლოდ 41%.

აღსანიშნავია, რომ საერთაშორისო სავალუტო ფონდის სახელმწიფო ფინანსების სტატისტიკისა (GFSM 2014) და სახელმწიფო ვალის სტატისტიკის (PSDS 2013) სახელმძღვანელოების მიხედვით, დეპოზიტების დაზღვევის სქემა წარმოადგენს სავალო ვალდებულებების ერთ-ერთ ინსტრუმენტს.<sup>32</sup> GFSM 2014-ის მიხედვით, აღნიშნული სქემა თავისი შინაარსიდან გამომდინარე, გარკვეულ კრიტერიუმებზე დაყრდნობით, შესაძლოა დაკლასიფიცირდეს სამთავრობო სექტორის ნაწილად ან სახელმწიფო ფინანსურ კორპორაციად (სახელმწიფოს სადაზღვეო კორპორაციად).<sup>33</sup> ორივე შემთხვევაში, დეპოზიტების დაზღვევის სისტემა წარმოქმნის ფისკალურ რისკს პირდაპირი ან პირობითი ვალდებულებების ფორმით.

საყურადღებოა ისიც, რომ მზარდია უცხოურ ვალუტაში დენომინირებული დაზღვეული დეპოზიტების მოცულობა, რომელიც 2024 წლის 31 აგვისტოს მდგომარეობით მთლიანი დაზღვეული დეპოზიტების 46%-ს შეადგენდა. იმის გათვალისწინებით, რომ მიმდინარე ეტაპზე სსიპ - დეპოზიტების დაზღვევის სააგენტო არ ახორციელებს პოტენციურ ვალდებულებებთან დაკავშირებული სავალუტო რისკების ჰეჯირებას (სადაზღვეო ფონდის ნაწილის ვალდებულებების შესაბამის ვალუტაში დენომინირებულ აქტივებში განთავსების გზით),<sup>34</sup> გაცვლითი კურსის მერყეობა აღნიშნული სისტემიდან დამატებით რისკებს წარმოქმნის.

დიაგრამა 16. დაზღვეული დეპოზიტების წილი ვალუტების მიხედვით (%).



აღნიშნულიდან გამომდინარე, მიზანშეწონილია, „ფისკალური რისკების ანალიზის“ დოკუმენტში წარმოდგენილი იქნეს ინფორმაცია საქართველოში მოქმედი დეპოზიტების დაზღვევის სისტემიდან მომდინარე პოტენციური რისკების შესახებ. ამ საკითხზე ყურადღება გამახვილდა სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მოხსენებაშიც „2023 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის შესახებ“. ფინანსური სექტორიდან, მათ შორის ამ

<sup>32</sup> სახელმწიფო ფინანსების სტატისტიკის სახელმძღვანელოს (GFSM 2014) პარაგრაფები: 2.132-2.135; 7.201

სახელმწიფო ვალის სტატისტიკის სახელმძღვანელოს (PSDS 2013) პარაგრაფები: 3.17; 3.62; 3.62

<sup>33</sup> სახელმწიფო ფინანსების სტატისტიკის სახელმძღვანელოს (GFSM 2014) პარაგრაფი: 2.135

<sup>34</sup> სადაზღვეო ფონდის თითქმის სრული ოდენობა, 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით განთავსებული იყო ფინანსთა სამინისტროს მიერ გამოშვებულ, ლარში დენომინირებულ სახაზინო ფასიან ქაღალდებში, მაშინ როდესაც დეპოზიტების დაზღვევის სისტემის შესახებ საქართველოს კანონით ინვესტირება შეიძლება განხორციელდეს შემდეგ დაბალრიცხიან აქტივებში (კანონის მე-15 მუხლი):

ა) საქართველოს მთავრობის, საქართველოს ეროვნული ბანკის, საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციის მიერ გამოშვებული, ლარით დენომინირებული სავალო ფასიანი ქაღალდები;

ბ) საქართველოს ეროვნული ბანკის დეპოზიტები;

გ) ევროპის ცენტრალური ბანკის, ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის, ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების, ევროკავშირის სუპრანაციონალური სააგენტოების მიერ გამოშვებული, ფიქსირებული შემოსავლის მქონე ფასიანი ქაღალდები და სავალო ინსტრუმენტები.

სქემიდან მომდინარე ფისკალური რისკების ანალიზის მნიშვნელობაზე ასევე აღინიშნა IMF-ის ფისკალური გამჭვირვალობის შეფასების 2024 წლის ანგარიში.<sup>35</sup>

გარდა ზემოაღნიშნულისა, IMF-ის ფისკალური გამჭვირვალობის შეფასების 2024 წლის ანგარიშში ფისკალური რისკების შესახებ ანგარიშგების შემდგომი გაუმჯობესების მიზნით წარმოდგენილია რეკომენდაციები, რომელიც მოიცავს შემდეგ საკითხებს:

- მიზანშეწონილია, „ფისკალური რისკების ანალიზის“ დოკუმენტი მოიცავდეს ინფორმაციას მუნიციპალიტეტებიდან მომდინარე ფისკალური რისკებისა და მათი ფინანსური მდგრადობის შესახებ;
- საჭიროა მომზადდეს საპენსიო დანახარჯებიდან მომდინარე პოტენციურ ფისკალურ რისკებთან დაკავშირებული უფრო სიღრმისეული ანალიზი.

საჯარო ფინანსების სტატისტიკის წარმოების მიზნებისათვის საქართველოს კანონმდებლობაში პირობითი ვალდებულებების ცნება განმარტებული არ არის. შესაბამისად, საბიუჯეტო დოკუმენტებში სრულყოფილად არ ხდება პირობითი ვალდებულებების მოცულობის გაანგარიშება და წარმოდგენა. აღნიშნულიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია, გათვალისწინებული იქნეს სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ ამ მიმართულებით გაცემული რეკომენდაცია.<sup>36</sup>

### 3. სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლები

2025 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონპროექტის საბოლოო ვერსიით, სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლების საპროგნოზო მოცულობა 23.4 მლრდ ლარითაა განსაზღვრული და 2024 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონისა და კანონის ცვლილების პროექტის ანალოგიურ მაჩვენებლებს, შესაბამისად, 13.0%-ითა (2.7 მლრდ ლარით) და 7.9%-ით (1.7 მლრდ ლარით) აღემატება. შემოსავლები კანონპროექტის პირველ ვერსიასთან შედარებით იზრდება 700 მლნ ლარით (3.1%-ით), რაც გამოწვეულია საგადასახადო შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებლის ზრდით (3.3%-ით). **გრანტების** კომპონენტის პროგნოზი 66 მლნ ლარითაა (24.8%-ით) შემცირებული მიმდინარე წელთან შედარებით და 200 მლნ ლარს შეადგენს. **სხვა შემოსავლების** საპროგნოზო მოცულობა მიმდინარე წლის განახლებულ პროგნოზთან შედარებით 80 მლნ ლარით (6.3%-ით) იზრდება და 1.4 მლრდ ლარის დონეზეა განსაზღვრული.

ცხრილი 1. შემოსავლები კომპონენტების მიხედვით (მლნ ლარი).

	2024 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონი (1)	2024 წლის ბიუჯეტის კანონის ცვლილების პროექტი (2)	2025 წლის ბიუჯეტის კანონპროექტი (I წარდგენა) (3)	2025 წლის ბიუჯეტის კანონპროექტი (III წარდგენა) (4)	%-ული ცვლილება (4) / (3)
საგადასახადო შემოსავლები	19,115	20,190	21,185	21,885	3.3%
გრანტები	266	266	200	200	-0.2%

<sup>35</sup> Georgia: IMF Technical Assistance Report - [Fiscal Transparency Evaluation](#)

<sup>36</sup> [სახელმწიფო ვალის მართვის შემდგომი რეაგირების ეფექტიანობის აუდიტი](#)

სხვა შემოსავლები	1,350	1,270	1,350	1,350	0.0%
<b>შემოსავლები</b>	<b>20,731</b>	<b>21,726</b>	<b>22,735</b>	<b>23,435</b>	<b>3.1%</b>

საგადასახადო შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებელი 2025 წლისთვის 21.9 მლრდ ლარს შეადგენს და კანონპროექტის პირველად ვერსიასთან შედარებით 700 მლნ ლარით (3.3%-ით), ხოლო 2024 წლის განახლებულ პროგნოზთან შედარებით 1.7 მლრდ (8.4%-ით) ლარით იზრდება. იზრდება საგადასახადო შემოსავლების ყველა კომპონენტი, გარდა მოგების გადასახადისა. კერძოდ, საშემოსავლო გადასახადი იზრდება 770 მლნ ლარით (11.7%-ით), დღგ – 595 მლნ ლარით (7.9%-ით), აქციზი - 270 მლნ ლარით (11.3%-ით), ხოლო იმპორტისა და სხვა გადასახადების კომპონენტი, შესაბამისად, 15 მლნ (11.1%-ით) და 45 მლნ (9.7%-ით) ლარით. მოცემული ზრდა ძირითადად გამოწვეულია მიმდინარე წელს დაფიქსირებული პოზიტიური ეკონომიკური ტენდენციებით, რამაც შესაბამისი ასახვა ჰპოვა მომავალი წლის პროგნოზებში.

ცხრილი 2. საგადასახადო შემოსავლები კომპონენტების მიხედვით (მლნ ლარი).

	2024 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონი (1)	2024 წლის ბიუჯეტის კანონის ცვლილების პროექტი (2)	2025 წლის ბიუჯეტის კანონპროექტი (I წარდგენა) (3)	2025 წლის ბიუჯეტის კანონპროექტი (III წარდგენა) (4)	%-ული ცვლილება (4) / (3)
საშემოსავლო გადასახადი	6,345	6,599	7,176	7,369	2.7%
მოგების გადასახადი	2,690	3,070	2,900	3,070	5.9%
დღგ	7,388	7,541	8,060	8,136	0.9%
აქციზი	2,375	2,380	2,520	2,650	5.2%
იმპორტის გადასახადი	150	135	150	150	0.0%
სხვა გადასახადები	167	465	380	510	34.2%
<b>საგადასახადო შემოსავლები</b>	<b>19,115</b>	<b>20,190</b>	<b>21,185</b>	<b>21,885</b>	<b>3.3%</b>

„სხვა შემოსავლების“ მუხლის ყველაზე მსხვილ კომპონენტებს დივიდენდიდან და პროცენტებიდან მისაღები შემოსავლები წარმოადგენს, რომელთა საპროგნოზო მოცულობები, შესაბამისად, 300 მლნ ლარისა და 350 მლნ ლარის დონეზეა განსაზღვრული.

ცხრილი 3. სხვა შემოსავლები კომპონენტების მიხედვით (მლნ ლარი).

	2024 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონი (1)	2024 წლის ბიუჯეტის კანონის ცვლილების პროექტი (2)	2025 წლის ბიუჯეტის კანონპროექტი (I წარდგენა) (3)	2025 წლის ბიუჯეტის კანონპროექტი (III წარდგენა) (4)	%-ული ცვლილება (4) / (3)
შემოსავლები საკუთრებიდან	826	703	630	680	7.9%
პროცენტი	280	320	300	350	16.7%
დივიდენდი	516	353	300	300	0.0%
საწარმოების მოგებიდან მიღებული დივიდენდი	51	50	0	0	0.0%
დივიდენდი ეროვნული ბანკის მოგებიდან	465	303	300	300	0.0%
რენტა	30	30	30	30	0.0%



საქონლის და მომსახურების რეალიზაცია	94	122	130	130	0.0%
სანქციები (ჯარიმები და საურავები)	150	165	205	190	-7.3%
ტრანსფერები, რომლებიც არ არის კლასიფიცირებული	280	280	385	350	-9.1%
<b>სხვა შემოსავლები</b>	<b>1,350</b>	<b>1,270</b>	<b>1,350</b>	<b>1,350</b>	<b>0.0%</b>

#### 4. სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელები


წარმოდგენილი კანონპროექტით, წინა ვარიანტთან შედარებით, 895 მლნ ლარით (3.3%-ით) იზრდება გადასახდელების საპროგნოზო მაჩვენებელი და 27.9 მლრდ ლარს უტოლდება, რაც 2024 წლის ანალოგიურ მაჩვენებელს 2 მლრდ ლარით (7.8%-ით) აღემატება.

ცხრილი 4. სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელების კომპონენტების დინამიკა (მლნ ლარი).

	2024 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონი (1)	2024 წლის ბიუჯეტის კანონის ცვლილების პროექტი (2)	2025 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონპროექტი I წარდგენა (3)	2025 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონპროექტი III წარდგენა (4)	ცვლილება (4) / (3) (%)
ხარჯები	19,121	19,962	21,398	21,842	2.1%
არაფინანსური აქტივების ზრდა	4,181	4,400	3,800	4,259	12.1%
ფინანსური აქტივების ზრდა (ნაშთის გამოკლებით)	306	261	451	424	-6.1%
ვალდებულებების კლება	1,423	1,308	1,397	1,417	1.4%
<b>გადასახდელები</b>	<b>25,030</b>	<b>25,930</b>	<b>27,047</b>	<b>27,942</b>	<b>3.3%</b>

„ხარჯების“ მუხლის ზრდა ძირითადად გამოწვეულია „სოციალური უზრუნველყოფის“ (726 მლნ ლარით), „შრომის ანაზღაურებისა“ (402 მლნ ლარით) და „პროცენტის“ (265 მლნ ლარით) მუხლების ასიგნებების ზრდით. მცირდება მხოლოდ „სუბსიდიების“ მუხლი (125 მლნ ლარით).

დიაგრამა 17. 2025 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონპროექტის საბოლოო ვერსიით განსაზღვრული „ხარჯების“ მუხლის სტრუქტურა (მლნ ლარი) / ცვლილება 2024 წელთან შედარებით.<sup>37</sup>



<sup>37</sup> 2024 წლის მაჩვენებელად აღებულია 2024 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის ცვლილების პროექტის მონაცემები.

საყურადღებოა, რომ კანონპროექტის საბოლოო ვერსიაში 2025 წლის გადასახდელების მნიშვნელოვანი ნაწილის დაფინანსება იგეგმება სახელმწიფო ბიუჯეტის ნაშთიდან. ამასთანავე, 2024 წლის ბოლოს სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის ცვლილების პროექტით ბიუჯეტის ნაშთის მოსალოდნელი მოცულობა 1.3 მლრდ ლარია, საიდანაც 594 მლნ ლარი ეკონომიკის გრძელვადიანი რესურსით სტიმულირებისათვის განთავსებულია კომერციული ბანკების სადეპოზიტო სერთიფიკატებში.<sup>38</sup> ნაშთის დარჩენილი თანხიდან (749 მლნ ლარი) 2025 წელს იგეგმება 381 მლნ ლარის გამოყენება. აღნიშნულის შედეგად, 2025 წლის ბოლოს ხელმისაწვდომი ნაშთის მოცულობა 368 მლნ ლარამდე მცირდება.

ცხრილი 5. სახელმწიფო ბიუჯეტის ნაშთის დაგროვება და გამოყენება 2024-2025 წლებში (მლნ ლარი).

სახელმწიფო ბიუჯეტის ნაშთი 01.01.2024-ის მდგომარეობით	სახელმწიფო ბიუჯეტის ნაშთის საპროგნოზო მაჩვენებელი 31.12.2024-სთვის 2024 წლის ბიუჯეტის კანონის ცვლილების პროექტით	სახელმწიფო ბიუჯეტის ნაშთიდან სადეპოზიტო სერთიფიკატებში განთავსებული თანხის მოცულობა	2025 წელს დაგეგმილი სახელმწიფო ბიუჯეტის ნაშთის გამოყენების მოცულობა (III წარდგენით)	სახელმწიფო ბიუჯეტის ნაშთის საპროგნოზო მაჩვენებელი 31.12.2025-სთვის
1,577	1,343	594	381	368

კანონპროექტის წარმოდგენილი ვერსიით, წინა ვარიანტთან შედარებით, ასიგნებები უკორექტირდება მხარჯავი დაწესებულებების ფარგლებში განსაზღვრული 143 პროგრამიდან<sup>39</sup> 74-ს, მათ შორის, 63 პროგრამის დაფინანსება იზრდება, ჯამურად 1.3 მლრდ ლარით, ხოლო 11 პროგრამის დაფინანსება მცირდება, ჯამურად 547.9 მლნ ლარით. საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გადასახდელების მოცულობა იზრდება 295.8 მლნ ლარით, რაც ძირითადად გამოწვეულია რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდის 160 მლნ ლარით და ავტონომიური რესპუბლიკებისა და მუნიციპალიტეტებისათვის გადასაცემი ტრანსფერების 100.8 მლნ ლარით ზრდით.

კანონპროექტით განსაზღვრული ცალკეული პროგრამების/ქვეპროგრამების შემთხვევაში, სხვაობა მიმდინარე წლის ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნებების ათვისების ტენდენციასა და მომავალი წლის დაფინანსების მოცულობას შორის შესაძლებელია დაკავშირებული იყოს მთავრობის პრიორიტეტების ან/და სტრუქტურულ ცვლილებებსა და დისკრეციულ გადაწყვეტილებებთან. თუმცა, სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელების დაგეგმვისას, სხვა მიზეზებთან ერთად, მიზანშეწონილია, გათვალისწინებულ იქნეს გასული და მიმდინარე წლების შესრულების ტენდენციებიც, რათა დასაგეგმი საბიუჯეტო წლისთვის უზრუნველყოფილ იქნეს საბიუჯეტო სახსრების ეფექტიანი გამოყენება და დაგეგმილი ასიგნებების სრულად ათვისება.

<sup>38</sup> აღნიშნული სადეპოზიტო სერთიფიკატების ვადა იწურება 2028 წლის იანვარში.

<sup>39</sup> 2025 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონპროექტის საბოლოო ვერსიაში წარმოდგენილი მხარჯავი დაწესებულებების ფარგლებში ასახული პროგრამების საერთო რაოდენობა.

ცხრილი 6. 2024 წლის 10 თვის მდგომარეობით წლიურ დამტკიცებულ გეგმასთან მიმართებით 70%-ზე დაბალი ათვისების მქონე ზოგიერთი პროგრამა/ქვეპროგრამა, რომელთა ასიგნებები იზრდება ან იგივე დონეზე ნარჩუნდება 2025 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონპროექტის საბოლოო ვერსიით (ათასი ლარი).

პროგრამის დასახელება	2024 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონი	2024 წლის 10 თვის ფაქტი/წლიურ გეგმასთან (%)	2025 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტი III წარდგენა	2024-2025 ცვლილება (%)
<b>საქართველოს ფინანსთა სამინისტრო</b>				
სუვერენული რეიტინგი (23 01 02)	950	62.1%	950	0.0%
<b>საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო</b>				
ქვეყნის ბრენდის განვითარების ღონისძიებები (24 01 02)	500	16.6%	3,000	500.0%
შრომის ბაზრის ანალიზი (24 01 05)	500	1.0%	500	0.0%
რეგიონალური ელექტროგადამცემის გაუმჯობესების პროექტი (24 14 01)	120,000	50.3%	124,000	3.3%
შავი ზღვის წყალქვეშა ელექტროგადამცემი ხაზის პროექტი (WB) (24 14 02)	5,000	0.0%	25,000	400.0%
მოსახლეობის ელექტროენერჯითა და ბუნებრივი აირით მომარაგების გაუმჯობესება (24 15)	3,550	11.0%	3,700	4.2%
ანაკლიის დრმაწყლოვანი ნავსადგურის განვითარება (24 17 01)	3,400	60.2%	4,000	17.6%
სივრცითი და ქალაქთშენებლობითი განვითარება (24 12)	9,100	49.9%	13,650	50.0%
კურორტების განვითარების ხელშეწყობა (24 20)	5,800	40.3%	6,000	3.4%
<b>საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო</b>				
დასაქმების ხელშეწყობის მომსახურებათა მართვა (27 01 08)	1,700	35.5%	1,825	7.4%
დიპლომისშემდგომი სამედიცინო განათლება (27 03 04)	500	20.6%	500	0.0%
სამუშაოს მაძიებელთა პროფესიული კვალიფიკაციის ამაღლება (27 05 02)	5,300	45.9%	5,500	3.8%
სარეინტეგრაციო დახმარება საქართველოში დაბრუნებული მიგრანტებისათვის (27 06 01)	1,000	45.0%	1,500	50.0%
საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის პროგრამა (27 06 05)	1,360	52.3%	2,000	47.1%
<b>საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო</b>				
ინფორმაციული ტექნოლოგიებისა და ელექტრონული სისტემების ფუნქციონირების უზრუნველყოფა (31 01 03)	7,100	22.3%	7,500	5.6%
ქართული ჩაი (31 05 05)	500	9.5%	500	0.0%
იმერეთის აგროზონა (31 05 12)	1,000	0.0%	1,000	0.0%
ბიოწარმოების ხელშეწყობის პროგრამა (31 05 13)	1,000	10.7%	1,000	0.0%
ლიდერპროგრამა (31 05 17)	1,000	0.0%	1,000	0.0%
საქართველოს მდგრადი სოფლის მეურნეობის, ირიგაციისა და მიწის პროექტი (WB) (31 06 03)	14,000	45.5%	33,600	140.0%
საქართველოში სარწყავი სოფლის მეურნეობის განვითარების ხელშეწყობის პროგრამა (31 06 04)	1,000	0.0%	16,500	1550.0%

დაცული ტერიტორიების დაცვა და რესურსების მართვა (31 08 02)	1,000	31.6%	1,000	0.0%
რადიოაქტიური და დარიშხანშემცველი ნარჩენების მართვის ღონისძიებები (31 12 02)	2,300	44.2%	6,250	171.7%
გარემოს დაბინძურების მონიტორინგი (31 13 04)	3,500	19.1%	4,950	41.4%
<b>საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო</b>				
პროფესიული უნარების განვითარება (32 03 02)	13,500	61.3%	14,000	3.7%
თანამედროვე უნარები უკეთესი დასაქმების სექტორის განვითარების პროგრამისთვის - პროექტი (ADB) (32 11)	15,000	14.2%	20,000	33.3%
ეროვნული სასწავლო გეგმისა და საგანმანათლებლო რესურსების განვითარება და დანერგვის ხელშეწყობა (32 02 09)	10,000	38.8%	11,500	15.0%
გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში მცხოვრები სტუდენტების სწავლის დაფინანსება (32 04 02 03)	5,000	63.5%	5,000	0.0%
პროგრამა „ცოდნის კარი“ (32 04 02 07)	1,000	52.8%	1,000	0.0%
ვისწავლოთ საქართველოში (32 04 02 08)	5,000	32.9%	5,000	0.0%
საჯარო სკოლების ოპერირებისა და მოვლა-პატრონობის სისტემის განვითარება (32 07 05)	8,000	26.9%	8,400	5.0%
ახალგაზრდობის სფეროში ადმინისტრირება და მართვა (32 08 01)	2,044	56.6%	2,330	14.0%
<b>საქართველოს კულტურის სამინისტრო</b>				
სსიპ – საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრი (33 02 01 13)	8,107	45.4%	8,107	0.0%

#### 4.1. პროგრამული ბიუჯეტირება

სახელმწიფო ბიუჯეტის კანონპროექტის საბოლოო ვერსიას თან ერთვის „პროგრამული ბიუჯეტის დანართი“, რომელიც მოიცავს ინფორმაციას პრიორიტეტების ფარგლებში დაგეგმილი პროგრამების მოსალოდნელი შედეგებისა და შედეგების შეფასების ინდიკატორების შესახებ. საყურადღებოა, რომ კანონპროექტის პირველი წარდგენის შემდეგ, პროგრამული ბიუჯეტის დანართში სრულფასოვნად არ განხორციელებულა იმ პროგრამების/ქვეპროგრამების შუალედური შედეგებისა და ინდიკატორების მიზნობრივი მაჩვენებლების კორექტირება, რომელთაც კანონპროექტის მესამე წარდგენის ფარგლებში შეეცვალათ დაფინანსება.

გარდა ამისა, პროგრამული ბიუჯეტის დანართის ანალიზისას გამოვლინდა პროგრამების შემუშავების პროცესში არსებული სისტემური ხასიათის ნაკლოვანებები, კერძოდ:

- პროგრამების ნაწილი არ არის ჩაშლილი ქვეპროგრამებად, ამასთან მსგავსი პროგრამების გარკვეულ ნაწილში ერთმანეთისგან არ არის გამოიჯნული მიმდინარე და მომდევნო წლების მიზნობრივი მაჩვენებლები, რაც ხელს უშლის ამ პროგრამების შუალედურ და საბოლოო შედეგებს შორის ურთიერთკავშირის დადგენას. აღნიშნული საკითხი ანგარიშგების ეტაპზე გაართულებს მიღწეული შედეგების შედარებას მიზნობრივ მაჩვენებლებთან;
- პროგრამების/ქვეპროგრამების მოსალოდნელი შუალედური/საბოლოო შედეგების ნაწილს არ გააჩნია კონკრეტული მისაღწევი მიზანი, რაც ანგარიშგების ეტაპზე გაართულებს აღნიშნული პროგრამის/ქვეპროგრამის ეფექტიანობის შეფასებას;


- პროგრამული ბიუჯეტის დანართში წარმოდგენილი ინდიკატორების ნაწილში არ ხდება ცდომილების აღბათობისა და შესაძლო რისკების შესახებ ინფორმაციის წარმოდგენა, მოყვანილი მონაცემები არარეალისტურია ან არ შეესაბამება მიზნობრივ მაჩვენებელს.

პროგრამული ბიუჯეტირების კუთხით არსებული ნაკლოვანებების ეტაპობრივი გამოსწორებისა და ამ მიმართულებით საბიუჯეტო ორგანიზაციების ანგარიშვალდებულების ამაღლების მიზნით, მიზანშეწონილია, გათვალისწინებულ იქნეს სახელმწიფო აუდიტის სამსახურის რეკომენდაცია და ფორმალურად განისაზღვროს ქვეყანაში პროგრამული ბიუჯეტირების განვითარების სამოქმედო გეგმა, სადაც გაწერილი იქნება განსახორციელებელი კონკრეტული აქტივობები, შესაბამისი ვადებითა და პასუხისმგებელი უწყებებით.

## 4.2. კაპიტალური პროექტები

2025 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის პროექტის მესამე წარდგენით, ნაერთი ბიუჯეტის კაპიტალური ხარჯების<sup>40</sup> საპროგნოზო მოცულობა 7.9 მლრდ ლარის დონეზეა განსაზღვრული (მშპ-ს 8.0%). მაჩვენებელი კანონპროექტის წინა ვერსიასთან შედარებით 721 მლნ ლარით, ხოლო 2024 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის ცვლილების პროექტთან - 45 მლნ ლარით (0.6%-ით) იზრდება. ერთიანი ბიუჯეტის კაპიტალური ხარჯების მოცულობა 8.3 მლრდ ლარს უტოლდება (მშპ-ს 8.4%), რაც 752 მლნ ლარით მეტია (9.9%-ით) კანონპროექტის პირველად ვერსიასთან შედარებით. საყურადღებოა, რომ საშუალოვადიან პერიოდში ნაერთი ბიუჯეტის კაპიტალური ხარჯების მშპ-სთან ფარდობის მაჩვენებელი კლებადი ტენდენციით ხასიათდება და 2028 წლისთვის 6.8%-ს უტოლდება.

დიაგრამა 18. ნაერთი და ერთიანი ბიუჯეტების კაპიტალური ხარჯების დინამიკა ნომინალურ გამოსახულებასა და მშპ-სთან მიმართებით - 2020-2028 წწ. (მლრდ ლარი, %).



\* აღნიშნავს პროგნოზს

<sup>40</sup> ფინანსთა სამინისტროს ინფორმაციით, მთავრობის მიერ განხორციელებული კაპიტალური ხარჯების მოცულობა გაიანგარიშება როგორც ნაერთი ბიუჯეტის ფინანსური და არაფინანსური აქტივების ზრდის ჯამი.

ქვეყანაში ოპტიმალური ფისკალური სივრცის უზრუნველყოფის პარალელურად, მნიშვნელოვანია, კაპიტალური დანახარჯების სტაბილური დონის განსაზღვრა და შენარჩუნება, რასაც არსებითი გავლენა აქვს ქვეყნის ეკონომიკურ პოტენციალზე.

გასული წლების მსგავსად, კაპიტალური ხარჯების ძირითადი ნაწილი სახელმწიფო ბიუჯეტშია კონცენტრირებული.<sup>41</sup> კერძოდ, კანონპროექტის საბოლოო ვერსიით, სახელმწიფო ბიუჯეტის კაპიტალური ხარჯები 7.1 მლრდ ლარს (მშპ-ს 7.1%) უტოლდება, რაც შესაბამისად, 462 მლნ ლარით და 1.2 მლრდ ლარით მეტია 2025 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის პროექტის პირველი წარდგენითა და 2024 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონით განსაზღვრულ პროგნოზებთან შედარებით, თუმცა 22 მლნ ლარით ჩამორჩება 2024 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის ცვლილების პროექტში წარმოდგენილ მაჩვენებელს 2024 წლისთვის.

კაპიტალური პროექტების დანართში ასახული პროექტების გეგმების ჯამური ღირებულება 4.2 მლრდ ლარია, რაც 73 მლნ ლარით აღემატება პროექტის პირველი ვარიანტით განსაზღვრულ მაჩვენებელს. კანონპროექტით 2025 წლის გეგმა გაუნულდა „*მოსახლეობის ელექტროენერჯითა და ბუნებრივი აირით მომარაგების გაუმჯობესების*“ (24 15) პროგრამას, ვინაიდან შესაბამისი ხარჯის გაწევა, 2024 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის ცვლილების პროექტით, იგეგმება 2024 წლის ბიუჯეტიდან. კაპიტალური დანართის საბოლოო ვერსიაში დამატებულია 6 პროექტი, ჯამურად 252 მლნ ლარის ოდენობით,<sup>42</sup> 8 პროექტს გაეზარდა ბიუჯეტი, ჯამში 237 მლნ ლარის მოცულობით, ხოლო 17 პროექტს შეუმცირდა - 366 მლნ ლარის ოდენობით.


პროექტების დარგობრივი კლასიფიკაციის ანალიზით ვლინდება, რომ დაგეგმილი პროექტების ყველაზე მსხვილ კომპონენტებს საგზაო ინფრასტრუქტურისა (37%) და განათლების (20%) მიმართულებით დაგეგმილი პროექტები წარმოადგენს. კანონპროექტის პირველ წარდგენასთან შედარებით არსებითად გაიზარდა „*დანარჩენი სექტორების*“ დაფინანსება (194 მლნ ლარით), რაც *სპორტული ინფრასტრუქტურის მხარდამჭერი ღონისძიებების* (25 08) პროექტის დამატებას უკავშირდება. 2024 წელთან შედარებით<sup>43</sup> იზრდება განათლების (195 მლნ ლარით), დანარჩენი სექტორების (382 მლნ ლარით), ენერჯეტიკისა (50 მლნ ლარით) და წყალმომარაგებისა და წყალარინების (49 მლნ ლარით) მიმართულებით განსახორციელებელი პროექტების გეგმები, სხვა მიმართულებებით კი მცირდება.

<sup>41</sup> სახელმწიფო ბიუჯეტის შემთხვევაში კაპიტალურ ხარჯებში არაფინანსური და ფინანსური აქტივების ზრდის მუხლებთან ერთად შედის კაპიტალური გრანტებისა და სხვა ხარჯების კაპიტალური ტრანსფერების მუხლები, ვინაიდან აღნიშნული მუხლებიდან განხორციელებული ტრანსფერები საბოლოო ჯამში წარმოადგენს კაპიტალურ ხარჯებს.

<sup>42</sup> თელავის აეროპორტის ახალი ინფრასტრუქტურა (24 06 05 04) – 5 მლნ ლარი; ენერჯის დამაგროვებელი მოწყობილობის პროექტი (ADB) (24 23) – 5 მლნ ლარი; სენაკი-ფოთი-სარფის საავტომობილო გზის ბათუმი (ჭოროხი)-სარფის მონაკვეთზე ახალი საავტომობილო გზის მშენებლობა (ADB) (25 02 03 12) – 35 მლნ ლარი; სპორტული ინფრასტრუქტურის მხარდამჭერი ღონისძიებები (25 08) – 200 მლნ ლარი; საქართველოში სარწყავი სოფლის მეურნეობის განვითარების ხელშეწყობის პროექტი (AFD) (31 06 04 03) – 1.7 მლნ ლარი; მდგრადი ურბანული განვითარება - ურბანული მობილობა ბათუმში (KfW) (57 14 12) – 5 მლნ ლარი.

<sup>43</sup> გამოყენებულია 2024 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონზე თანდართული კაპიტალური პროექტების დანართი, ვინაიდან 2024 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის ცვლილების ფარგლებში აღნიშნული დანართი არ განახლებულა.

დიაგრამა 19. კაპიტალური პროექტების დანართში წარმოდგენილი პროექტების პროგნოზების დარგობრივი კლასიფიკაცია, თითოეული დარგის მოცულობა ნომინალურ ღირებულებაში (მლნ ლარი) და %-ული წილი - 2025 წ.



ცალკეული კაპიტალური პროექტების დონეზე აღსანიშნავია:

- კანონპროექტის საბოლოო ვარიანტში ასახულია 7 პროექტი, ჯამური ბიუჯეტით 116 მლნ ლარი, რომელთა დასრულება 2024 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონით იგეგმებოდა 2024 წლისათვის;<sup>44</sup>
- 2024 წელს მიმდინარე 8 კაპიტალური პროექტის შემთხვევაში, 10 თვის მდგომარეობით, წლიურ გეგმასთან შედარებით ათვისებულია 70%-ზე ნაკლები. აღნიშნული 8 პროექტისათვის 2025 წელს იგეგმება ასიგნებების ზრდა როგორც 2024 წლის გეგმასთან შედარებით, ასევე 2024 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონით განსაზღვრული 2025 წლის გეგმებთან შედარებით, შესაბამისად, 216 მლნ ლარისა და 161 მლნ ლარის ოდენობით.

მნიშვნელოვანია, განმახორციელებელმა უწყებებმა ბიუჯეტის დაგეგმვის ეტაპზე გაითვალისწინონ პროექტის განხორციელების/მიმდინარეობის როგორც წინარე გამოცდილება, ასევე, დასაგეგმი წლისათვის მოსალოდნელი აქტივობების მასშტაბი და აღნიშნულზე დაყდნობით განსაზღვრონ მომდევნო წლისთვის საჭირო ფინანსური რესურსის მოცულობა.

ცხრილი 7. კაპიტალური პროექტები, რომელთაც შეეცვალათ დაფინანსება 2025 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონპროექტის საბოლოო ვარიანტში პირველად ვერსიასთან შედარებით (ათასი ლარი).

პროექტის დასახელება	I წარდგენა	III წარდგენა	ცვლილება
სპორტული ინფრასტრუქტურის მხარდამჭერი ღონისძიებები (25 08)	0	200,000	200,000
საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარება (32 07)	441,715	529,715	88,000
სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების მშენებლობა-რეაბილიტაცია (25 06 02)	180,000	225,000	45,000

<sup>44</sup> ბაღდათი-აბასთუმნის საავტომობილო გზის რეკონსტრუქცია-რეაბილიტაცია (25 02 02 08) – 2025 წლის გეგმა 40 მლნ ლარი; ბათუმი (ანგისა) - ახალციხის საავტომობილო გზის ხულო-ზარზმის მონაკვეთის რეაბილიტაცია-რეკონსტრუქცია (Kuwait Fund) (25 02 02 09) – 2025 წლის გეგმა 30 მლნ ლარი; თბილისი-სენაკი-ლესელიძის საავტომობილო გზის შორაპანი არგვეთას მონაკვეთის რეკონსტრუქცია-მშენებლობა (ADB) (25 02 03 04) – 2025 წლის გეგმა 20 მლნ ლარი; რეგიონალური განვითარების პროექტი III (მცხეთა-მთიანეთი და სამცხე-ჯავახეთი) (WB) (25 03 03) – 2025 წლის გეგმა 15 მლნ ლარი; რეგიონალური და მუნიციპალური ინფრასტრუქტურის განვითარების პროექტი II (WB, WB-TF) (25 03 04) – 2025 წლის გეგმა 5 მლნ ლარი; ბაკურიანის მუნიციპალური სერვისების გაუმჯობესების პროგრამა (EBRD) (25 03 06) – 2025 წლის გეგმა 0.3 მლნ ლარი; საჯარო სკოლების მშენებლობა-რეაბილიტაცია (25 06 01 01) – 2025 წლის გეგმა 6 მლნ ლარი.

სენაკი-ფოთი-სარგის საავტომობილო გზის ბათუმი(ჭოროხი)-სარგის მონაკვეთზე ახალი საავტომობილო გზის მშენებლობა (ADB) (25 02 03 12)	0	35,000	35,000
ბაღდათი-აბასთუმნის საავტომობილო გზის რეკონსტრუქცია-რეაბილიტაცია (25 02 02 08)	10,000	40,000	30,000
სამტრედია-გრიგოლეთის საავტომობილო გზის კმ 0-კმ 50 მონაკვეთის მოდერნიზაცია-მშენებლობა (EIB, EU) (25 02 03 02)	150,000	180,000	30,000
სამედიცინო დაწესებულებათა რეაბილიტაცია და აღჭურვა (27 04 01)	40,000	60,000	20,000
საცხოვრებლად ვარგისი ქალაქების საინვესტიციო პროგრამა (I ფაზა) (ADB) (25 03 05 01)	12,500	26,500	14,000
სამელიორაციო სისტემების რეაბილიტაცია და ტექნიკის შეძენა (31 06 01)	40,000	45,000	5,000
კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ხელშეწყობა (33 06 03 02)	25,103	30,103	5,000
თელავის აეროპორტის ახალი ინფრასტრუქტურა (24 06 05 04)	0	5,000	5,000
ენერჯის დამაგროვებელი მოწყობილობის პროექტი (ADB) (24 23)	0	5,000	5,000
მდგრადი ურბანული განვითარება - ურბანული მობილობა ბათუმში (KfW) (57 14 12)	0	5,000	5,000
საქართველოში სარწყავი სოფლის მეურნეობის განვითარების ხელშეწყობის პროექტი (AFD)(31 06 04 03)	0	1,650	1,650
კლიმატგონივრული ირიგაციის სექტორის განვითარების პროექტი (ADB) (31 06 04 01)	10,000	8,000	- 2,000
მდგრადი წყალმომარაგებისა და სანიტარული სექტორის განვითარების პროგრამა (ADB) (25 04 02)	17,700	15,000	- 2,700
ქვემო ქართლის ნარჩენების მართვის პროექტი (EBRD, SIDA) (25 05 02)	18,500	15,000	- 3,500
საქართველო-ზემო სამგორის ირიგაციის პროექტი (EIB) (31 06 04 02)	10,000	5,400	- 4,600
ვარდნილისა და ენგურის ჰიდროელექტროსადგურების რეაბილიტაციის პროექტი (EBRD, EIB, EU) (24 19)	21,000	16,000	- 5,000
მდინარე რიონზე ფოთის ხიდის მშენებლობა (ADB)(25 02 03 06)	20,000	15,000	- 5,000
ქალაქ ხაშურის და მიმდებარე დასახლებების წყალმომარაგებისა და წყალარინების სისტემების გაუმჯობესება (AFD, EU) (25 04 04)	50,000	45,000	- 5,000
ქუთაისის წყალარინების პროექტი (EIB, EPTATF)(25 04 05)	65,000	60,000	- 5,000
მყარი ნარჩენების ინტეგრირებული მართვის პროგრამა II (კახეთი, სამეგრელო-ზემო სვანეთი) (KfW) (25 05 03)	36,000	30,000	- 6,000
იმერეთის და ყაზბეგის მუნიციპალიტეტებში კომუნალური ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება (KfW) (25 04 03)	120,000	113,200	- 6,800
თბილისი-სენაკი-ლესელიძის საავტომობილო გზის შორაპანი არგვეთას მონაკვეთის რეკონსტრუქცია-მშენებლობა (ADB) (25 02 03 04)	35,000	20,000	- 15,000
ბათუმი (ანგისა) - ახალციხის საავტომობილო გზის ხულო-ზარზმის მონაკვეთის რეაბილიტაცია-რეკონსტრუქცია (Kuwait Fund) (25 02 02 09)	50,000	30,000	- 20,000
თბილისი-ბაკურციხე-ლაგოდეხის საავტომობილო გზის ლოჭინი-საგარეჯოს მონაკვეთის მშენებლობა (25 02 03 07)	40,000	20,000	- 20,000
ინოვაციის, ინკლუზიურობის და ხარისხის პროექტი - საქართველო I2Q (WB) (25 06 01 03)	90,000	65,000	- 25,000
თბილისი-ბაკურციხე-ლაგოდეხის საავტომობილო გზის საგარეჯო-ბაღდათის მონაკვეთის მშენებლობა (WB) (25 02 03 08)	120,000	80,000	- 40,000




მცხეთა-სტეფანწმინდა-ლარსის საავტომობილო გზის ქვეშეთი-კობის მონაკვეთზე საავტომობილო გზის და გვირაბის მშენებლობა (ADB, EBRD) (25 02 03 05)	250,000	200,000	- 50,000
მოსახლეობის ელექტროენერჯითა და ბუნებრივი აირით მომარაგების გაუმჯობესება (24 15)	50,000	0	- 50,000
რეგიონებში ინფრასტრუქტურული პროექტების მხარდაჭერის ღონისძიებები (25 04 06)	400,000	250,000	- 150,000

## 5. სახელმწიფო ვალი და მთავრობის ვალი

### 5.1. სახელმწიფო ვალი

2025 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონპროექტის საბოლოო ვერსიით სახელმწიფო ვალის საპროგნოზო ზღვრული მოცულობა 36.4 მლრდ ლარს შეადგენს (მშპ-ს 36.7%), რაც 2024 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონით განსაზღვრულ ანალოგიურ მაჩვენებელს 2.8 მლრდ ლარით (8.2%-ით) აღემატება, ხოლო 2024 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის ცვლილების პროექტით განსაზღვრულ მაჩვენებელთან შედარებით 2.1 მლრდ ლარით (6.0%-ით) იზრდება. რაც შეეხება კანონპროექტის წინა ვერსიას, სახელმწიფო ვალის ზღვრული მაჩვენებელი 218 მლნ ლარით (0.6%-ით) მცირდება. სახელმწიფო ვალის ზრდა გამოწვეულია როგორც საშინაო, ასევე საგარეო ვალის მატებით. კერძოდ, 2024 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის ცვლილების პროექტით განსაზღვრულ მაჩვენებლებთან შედარებით, საშინაო ვალი იზრდება 1.6 მლრდ ლარით (15.6%-ით), ხოლო საგარეო ვალი - 508 მლნ ლარით (2.1%-ით). საშინაო ვალის მეტად ზრდის მიუხედავად, საგარეო ვალის წილი მთლიან სახელმწიფო ვალის პორტფელში კვლავ მაღალ ნიშნულზე რჩება და მთლიანი სახელმწიფო ვალის 68.3%-ს შეადგენს (24.9 მლრდ ლარი).

დიაგრამა 20. სახელმწიფო საგარეო და საშინაო ვალის ნაშთის დინამიკა წლების მიხედვით (მლრდ ლარი; % - წილი სახელმწიფო ვალში).<sup>45</sup>



\* აღნიშნავს პროგნოზს

<sup>45</sup> სხვაობა (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ჯამურ მაჩვენებელსა და მისი შემადგენელი კომპონენტების ჯამს შორის გამოწვეულია მათემატიკური დამრგვალებით.


## 5.2. მთავრობის ვალი

კანონპროექტის საბოლოო ვერსიით, 2025 წლისთვის მთავრობის ვალის საპროგნოზო ზღვრული მოცულობა 35.6 მლრდ ლარის დონეზეა განსაზღვრული (მშპ-ს 35.9%), რაც 2024 წლის ანალოგიურ მაჩვენებელს (სახელმწიფო ბიუჯეტის კანონით განსაზღვრულს) 2.9 მლრდ ლარით (8.2%-ით) აღემატება, ხოლო კანონის ცვლილების პროექტის მაჩვენებელს 2.2 მლრდ ლარით. 2024 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის ცვლილების პროექტთან შედარებით მთავრობის ვალის ზრდაში საგარეო ვალის წილი 2.0%-ია, ხოლო საშინაო ვალის - 4.6%.

საყურადღებოა, რომ არ იქნა გათვალისწინებული სახელმწიფო აუდიტის სამსახურის რეკომენდაცია და „მთავრობის ვალის მართვის სტრატეგიის“ განახლება ამ დრომდე არ მომხდარა. სამსახურის შეფასებით, მიზანშეწონილია, სტრატეგიის განახლება სახელმწიფო ბიუჯეტის კანონპროექტის საბოლოო ვერსიის წარმოდგენამდე, სტრატეგიით განსაზღვრული ნიშნულების საბიუჯეტო პროცესში უკეთ ინტეგრირებისთვის. აღსანიშნავია, რომ სტრატეგიის საბიუჯეტო პროცესში ინტეგრაცია მოითხოვება მსოფლიო ბანკის მიერ შემუშავებული DeMPA-ს მეთოდოლოგიითაც.<sup>46</sup>

კანონპროექტით მთავრობის ვალის მშპ-სთან ფარდობის საპროგნოზო მაჩვენებელი 2025 წლისთვის არსებითად შესაბამისობაშია 2024-2027 წლების „მთავრობის ვალის მართვის სტრატეგიით“ განსაზღვრულ მიზნობრივ ნიშნულთან. კერძოდ, მთავრობის ვალის მშპ-სთან ფარდობის საპროგნოზო მაჩვენებელი (35.9%) 1.5 პ.პ.-ით ნაკლებია სტრატეგიის მიზნობრივ ნიშნულზე. მიუხედავად ამისა, განსხვავება ფიქსირდება ბიუჯეტის კანონპროექტითა და სტრატეგიით განსაზღვრულ მთავრობის ვალის და ნომინალური მშპ-ს საპროგნოზო მაჩვენებლებს შორის. კერძოდ, მთავრობის ვალის საპროგნოზო მაჩვენებელი 440 მლნ ლარით, ხოლო ნომინალური მშპ 5.2 მლრდ ლარით აღემატება სტრატეგიით დადგენილ ნიშნულს.

დიაგრამა 21. მთავრობის ვალის ნაშთის მოცულობა და მისი ფარდობა შესაბამისი წლის მშპ-სთან (მლრდ ლარი; %).



\* აღნიშნავს პროგნოზს

<sup>46</sup> [Debt management performance assessment methodology](#), DPI 3.2, World Bank, გვ. 29

ცხრილი 8. 2024-2027 წლების „მთავრობის ვალის მართვის სტრატეგიით“ და 2025 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონპროექტით განსაზღვრული მიზნობრივი ნიშნულების შედარება 2025 წლისთვის.<sup>47</sup>

ინდიკატორი	სტრატეგიის ნიშნული 2025 წლის ბოლოსთვის	2025 წლის ბიუჯეტის კანონპროექტის პროგნოზი	სხვაობა
მთავრობის ვალი (მლნ ლარი)	35,179	35,619	440
მთავრობის ვალი მშპ-სთან (%)	37.4%	35.9%	-1.5 პ.პ.
საგარეო ვალი მშპ-სთან (%)	25.2%	24.2%	-1.0 პ.პ.
საგარეო ვალის წილი მთლიან ვალში (%)	67.3%	67.5%	0.2 პ.პ.
ნომინალური მშპ (მლნ ლარი)	94,038	99,239	5,201

2025 წლისთვის საგარეო ვალის წილი მთავრობის მთლიან ვალში 67.5%-ით განისაზღვრა და 0.2 პროცენტული პუნქტით აღემატება სტრატეგიით განსაზღვრულ საშუალოვადიან ნიშნულს.<sup>48</sup> ამასთანავე, 2025 წლისთვის საგარეო ვალის მშპ-სთან ფარდობა 24.2%-ს შეადგენს, რაც შესაბამისობაშია „მთავრობის ვალის მართვის სტრატეგიით“ განსაზღვრულ ლიმიტთან.

კანონპროექტის საბოლოო ვერსიაზე თანდართულია მთავრობის „ვალის მდგრადობის ანალიზის“ განახლებული დოკუმენტი, რომელშიც განხილულია მთავრობის ვალის დინამიკაზე რეალური მშპ-ს ზრდის, რეალური საპროცენტო განაკვეთის, სახელმწიფო ბიუჯეტის პირველადი ბალანსის, ნომინალური გაცვლითი კურსის, კომბინირებული<sup>49</sup> და პირობითი ვალდებულებების შოკების ეფექტები. დოკუმენტში წარმოდგენილი ანალიზის მიხედვით, ვალის მშპ-სთან ფარდობის მაჩვენებელი საშუალოვადიან პერიოდში ყველა შოკის შემთხვევაში ორგანული კანონით დადგენილი 60%-იანი ნიშნულის ფარგლებშია მოქცეული. მიუხედავად ამისა, ვალის მოცულობა განსაკუთრებით მოწყვლადია ვალუტის გაცვლითი კურსის ცვლილების მიმართ. კერძოდ, დოკუმენტში წარმოდგენილი სტრეს-ტესტის მიხედვით, ლარის ნომინალური გაცვლითი კურსის შოკის<sup>50</sup> შემთხვევაში, მთავრობის ვალის მშპ-სთან ფარდობის მაჩვენებელი 46.4%-ს აღწევს, მაშინ როდესაც საბაზისო სცენარით მაჩვენებელი 35.9%-ის დონეზეა პროგნოზირებული. შედეგად, სავალუტო რისკი მთავრობის ვალის პორტფელისთვის ძირითად გამოწვევად რჩება.

აღსანიშნავია, რომ ფინანსთა სამინისტროს მიერ წარმოდგენილი ვალის მდგრადობის ანალიზი ეფუძნება IMF-ისა და WB-ის მიერ 2005 წელს ერთობლივად შემუშავებულ მეთოდოლოგიას, რომლის განახლება განხორციელდა 2014 და 2021 წლებში.<sup>51</sup> განახლებული მეთოდოლოგიით გაფართოვდა ვალის დაფარვის მაჩვენებელი, გაუმჯობესდა სუვერენული რისკების შეფასების ინსტრუმენტები, გაიზარდა პროგნოზირების ჰორიზონტი და მეთოდოლოგია თანხვედრაში

<sup>47</sup> მთავრობის ვალის მოცულობა მოიცავს PPP ვალდებულებებს, რომელიც 2025 წლის ბოლოსთვის 29 მლნ ლარის ოდენობით არის განსაზღვრული.

<sup>48</sup> „მთავრობის ვალის მართვის სტრატეგიის“ მიზნობრივ მაჩვენებლებად განსაზღვრულია: ა) უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ვალის მშპ-სთან შეფარდების 30%-მდე შენარჩუნება; და ბ) მთლიანი ვალის პორტფელში უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ვალის წილის 65%-ზე დაბალ ნიშნულამდე შემცირება.

<sup>49</sup> 2024 წელს სახელმწიფო ბიუჯეტის პირველადი ბალანსის და რეალური მშპ-ს ზრდის შოკი ერთდროულად.

<sup>50</sup> ლარის აშშ დოლართან ნომინალური გაცვლითი კურსის ერთჯერადი გაუფასურება 30%-ით.


<sup>51</sup> მეთოდოლოგია წარმოდგენილია შემდეგ ბმულზე: <https://www.imf.org/external/np/pp/eng/2005/070105.pdf>

მოვიდა IMF-ის დაკრედიტების ჩარჩოსთან.<sup>52</sup> სახელმწიფო ვალის მდგრადობის ანალიზის გაუმჯობესების მიზნით, მნიშვნელოვანია, „მთავრობის ვალის მდგრადობის ანალიზი“ განხორციელდეს IMF-ისა და WB-ის განახლებულ მეთოდოლოგიაზე დაყრდნობით. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ყურადღება გამახვილებულ იქნა სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მოხსენებებში 2022 და 2023 წლების სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშების შესახებ.

### 5.3. საგარეო წყაროებიდან მისაღები კრედიტები

2025 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონპროექტის საბოლოო ვერსიით, საგარეო წყაროებიდან მისაღები ფინანსური რესურსის უმეტესი ნაწილი - 67.1% (1.2 მლრდ ლარი) მიმართული იქნება საინვესტიციო პროექტების დასაფინანსებლად. აღნიშნული 2024 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის ცვლილების პროექტით განსაზღვრულ გეგმურ მაჩვენებელთან შედარებით 5.0%-ით (64 მლნ ლარით) ნაკლებია. რაც შეეხება ბიუჯეტის მხარდამჭერ კრედიტებს, მათი მოცულობა 600 მლნ ლარით<sup>53</sup> განისაზღვრა, რაც 2025 წელს საგარეო წყაროებიდან მისაღები ფინანსური რესურსის 32.9%-ია. ბიუჯეტის მხარდამჭერი კრედიტების გეგმა, 2024 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის ცვლილების პროექტის მაჩვენებელთან შედარებით 3.4%-ით (20 მლნ ლარით) იზრდება.

დიაგრამა 221. საგარეო წყაროებიდან მოზიდული კრედიტები მიზნობრიობის მიხედვით (მლნ ლარი).



\* აღნიშნავს პროგნოზს

კანონპროექტის საბოლოო ვერსიით 1.2 მლრდ ლარის მოცულობის კრედიტით 46 საინვესტიციო პროექტის დაფინანსება იგეგმება. პროექტის წინა ვერსიასთან შედარებით საინვესტიციო პროექტების დაფინანსება 159.3 მლნ ლარით მცირდება. კერძოდ, გეგმას ემატება 3 პროექტი, ჯამური ღირებულებით 8.5 მლნ ლარი და მცირდება 13 პროექტის დაფინანსება, ჯამურად 174.8 მლნ ლარით.

<sup>52</sup> [Review of the debt sustainability framework for market access countries](#), IMF, გვ. 3

<sup>53</sup> „მთავრობის ვალის მართვის სტრატეგია“ 2023-2026 წლებისთვის აღნიშნული ტიპის სესხებზე აწესებს მაქსიმალურ ლიმიტს წელიწადში 250 მლნ აშშ დოლარის ოდენობით.

ცხრილი 9. საგარეო კრედიტით დაფინანსებული საინვესტიციო პროექტები, რომლებსაც 2025 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონპროექტის წარდგენებს შორის შეეცვალათ დაფინანსება (ათასი ლარი).

პროექტის დასახელება	2024 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონი (I)	2024 წლის ბიუჯეტის კანონის ცვლილების პროექტი (II)	2025 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონი (I წარდგენა) (III)	2025 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონი (III წარდგენა) (IV)	ცვლილება (IV)-(III)
ჩრდილოეთ-სამხრეთ დერეფნის (ქვეშეთი-კობი) გზა (EBRD, ADB)	185,000	185,000	185,000	135,000	-50,000
კახეთის სატრანსპორტო კავშირის გაუმჯობესების პროექტი (WB)	90,000	90,000	100,000	60,000	-40,000
ინოვაციის, ინკლუზიურობის და ხარისხის პროექტი - საქართველო I2Q (WB)	90,000	71,500	80,500	55,500	-25,000
იმერეთის და ყაზბეგის მუნიციპალიტეტებში კომუნალური ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება (KfW)	23,000	27,000	69,550	62,750	-6,800
ქუთაისის წყალარინების პროექტი (EPTATF, EIB)	30,800	9,800	52,500	48,000	-4,500
საცხოვრებლად ვარგისი ქალაქების საინვესტიციო პროგრამა (ADB)	58,100	38,600	31,300	37,300	6,000
მყარი ნარჩენების ინტეგრირებული მართვის პროგრამა II (KfW)	23,500	11,000	29,475	23,500	-5,975
თბილისი-სენაკი-ლესელიძის საავტომობილო გზის შორაპანი არგვეთას მონაკვეთის რეკონსტრუქცია-მშენებლობა (ADB)	90,000	107,000	28,000	13,000	-15,000
საქართველოს მდგრადი სოფლის მეურნეობის, ირიგაციისა და მიწის პროექტი (WB)	9,118	9,118	27,950	21,400	-6,550
ქალაქ ხაშურის და მიმდებარე დასახლებების წყალმომარაგებისა და წყალარინების სისტემების მომსახურების გაუმჯობესება (AFD, EU)	10,600	10,600	25,000	20,000	-5,000
ქ. ბათუმის ახალი შემოვლითი გზა (AIIB, ADB)	37,000	54,000	17,000	12,000	-5,000
ქვემო ქართლის მყარი ნარჩენების პროექტი (SIDA, EBRD)	5,000	1,500	15,500	12,000	-3,500
დარგობრივი სესხი წყლის სექტორისთვის (AFD, ADB)	-	-	15,000	10,000	-5,000
ვარდნილისა და ენგურის ჰიდროელექტროსადგურების რეაბილიტაციის პროექტი (EIB, EBRD, EU)	5,000	5,000	15,000	16,000	1,000
საქართველოში სარწყავი სოფლის მეურნეობის განვითარების ხელშეწყობის პროგრამა (AFD, ADB, EIB)	725	725	15,000	12,500	-2,500
ენერჯის დამაგროვებელი მოწყობილობის პროექტი (ADB)	-	-	-	5,000	5,000
მდგრადი ურბანული განვითარება - ურბანული მობილობა ბათუმში (KfW)	-	-	-	2,500	2,500
მწვანე და ინკლუზიური რეგიონული კარიბჭის განვითარება (ADB)	-	-	-	1,000	1,000

#### 5.4. მთავრობის ვალის მომსახურება და დაფარვა

მთავრობის ვალის მომსახურებისა და დაფარვის ხარჯების საპროგნოზო მოცულობა 3.2 მლრდ ლარს შეადგენს და 375 მლნ ლარით (13.5%-ით) აღემატება 2024 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის ცვლილების პროექტით განსაზღვრულ ანალოგიურ მაჩვენებელს.

ცხრილი 10. მთავრობის ვალის მომსახურებისა და დაფარვის ხარჯები (მლნ ლარი).<sup>54</sup>

	2023 წლის ფაქტი	2024 წლის ბიუჯეტის კანონი (საწყისი) (1)	2024 წლის ბიუჯეტის კანონი (ცვლილება) (2)	2025 წლის ბიუჯეტის კანონპროექტი (I წარდგენა) (3)	2025 წლის ბიუჯეტის კანონპროექტი (III წარდგენა) (4)	2024-2025 ცვლილება (4)-(2)
<b>მთავრობის ვალის მომსახურება და დაფარვა</b>	<b>2,274</b>	<b>2,955</b>	<b>2,780</b>	<b>3,125</b>	<b>3,155</b>	<b>375</b>
საგარეო ვალის მომსახურება და დაფარვა	1,562	2,125	1,984	2,185	2,215	231
ძირი თანხა	1,045	1,375	1,260	1,350	1,370	0
პროცენტი	517	750	724	835	845	0
საშინაო ვალის მომსახურება და დაფარვა	712	830	796	940	940	144
ძირი თანხა	40	40	40	40	40	0
პროცენტი	672	790	756	900	900	0

2022 წლის მარტიდან, გლობალური მონეტარული პოლიტიკის გამკაცრების პირობებში, მნიშვნელოვნად გაიზარდა მთავრობის საგარეო ვალის საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთი, რომელიც 2024 წლის 31 ოქტომბრის მდგომარეობით 3.3%-ია. აღნიშნული მაჩვენებლის ზრდა ძირითადად განაპირობა მთავრობის საგარეო ვალის პორტფელში ცვლადი საპროცენტო განაკვეთის მქონე სესხების წილის ზრდამ, რომელიც მკვეთრი სენსიტიურობით ხასიათდება გლობალური მონეტარული პოლიტიკის მიმართ.


საყურადღებოა, რომ „მთავრობის ვალის მართვის“ მოქმედი სტრატეგიით, საგარეო ვალის პორტფელში ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთის მქონე კრედიტების მოცულობა მინიმუმ 50%-ს უნდა შეადგენდეს, თუმცა 2024 წლის 31 ოქტომბრის მდგომარეობით ეს ნიშნული დარღვეულია და მათი წილი მთლიანი პორტფელის 48.1%-ია. ამ საკითხზე ყურადღება იქნა გამახვილებული სახელმწიფო აუდიტის სამსახურის წინა ანგარიშებშიც.

აღსანიშნავია ისიც, რომ უკანასკნელ წლებში, საშინაო წყაროებიდან მობილიზებული რესურსის მოცულობა მკვეთრად ზრდადი ტენდენციით ხასიათდება, რომელსაც საგარეო წყაროებიდან მიღებულ რესურსთან შედარებით მაღალი საპროცენტო ხარჯები აქვს (მაგ. 2024 წლის 31 ოქტომბრის მდგომარეობით, სახაზინო ფასიანი ქაღალდების პორტფელის საშუალო შეწონილი სარგებლიანობა სიმწიფემდე (Yield to Maturity) შეადგენს 8.9%-ს<sup>55</sup>).


<sup>54</sup> 2024 წლიდან ფინანსთა სამინისტრო აქტიურად იყენებს ვალდებულებების მართვის (LMO) ოპერაციებს - გამოსყიდვა/გაცვლა. გაცვლა არ წარმოადგენს საკასო ტიპის ოპერაციას და არ ხდება ფასიანი ქაღალდების გამოშვებიდან მიღებული და დაფარული თანხების პროგნოზირება. აქედან გამომდინარე, საშინაო ვალის მომსახურებისა და დაფარვის მაჩვენებლის ძირი თანხა არ მოიცავს ფასიანი ქაღალდების დაფარვის თანხას. ასევე, საშინაო ვალის მომსახურების და დაფარვის კომპონენტის საპროგნოზო მაჩვენებელი 2024-2025 წლებისთვის არ მოიცავს საბიუჯეტო ორგანიზაციების სესხის სახით არსებული ვალის მომსახურებისა და დაფარვის ხარჯებს.

<sup>55</sup> მთავრობის ვალის ყოველთვიური ანგარიში, ოქტომბერი, 2024


დიაგრამა 23. ცენტრალური ბანკების მონეტარული პოლიტიკის განაკვეთების დინამიკა (31.10.2024-ის მდგომარეობით).<sup>56</sup>



დიაგრამა 24. მთავრობის საგარეო ვალის ნაშთი საპროცენტო განაკვეთის სახეების მიხედვით.



დიაგრამა 25. საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთი მთავრობის საგარეო ვალზე (%).



\* 2024-ის მონაცემი წარმოდგენილია 2024 წლის 31 ოქტომბრის მდგომარეობით.

ზემოაღნიშნული ორი მოვლენის ერთდროული ზემოქმედება (გლობალური მონეტარული პოლიტიკის გამკაცრება და საშინაო ვალის წილის ზრდა) უკანასკნელ წლებში მზარდ საპროცენტო ხარჯებში აისახება, რაც მნიშვნელოვან ფისკალურ წნეხს ქმნის სახელმწიფო ბიუჯეტისთვის. ამ თვალსაზრისით, ტენდენცია ნარჩუნდება 2025 წელსაც. კერძოდ, წარმოდგენილი პროგნოზებით, მთავრობის ვალის მომსახურების ხარჯის პროგნოზი (პროცენტის ხარჯი) 2025 წელს, 2024 წელთან შედარებით 270 მლნ ლარით იზრდება. მათ შორის, საშინაო ვალზე საპროცენტო ხარჯი იზრდება 19.3%-ით (149 მლნ ლარით), ხოლო საგარეო ვალზე - 16.7%-ით (121 მლნ ლარით). ამასთანავე, 2025 წლისთვის მთავრობის ვალის საპროცენტო ხარჯების ნაერთი ბიუჯეტის შემოსავლებთან ფარდობის მაჩვენებელი ისტორიულ მაქსიმუმზეა


<sup>56</sup> წყარო : [Bank for International Settlements \(BIS\)](https://www.bis.org/)

და 6.4%-იან ნიშნულს აღწევს. საყურადღებოა, რომ აღნიშნული მაჩვენებელი საშუალოვადიან პერიოდშიც მაღალ დონეზე ნარჩუნდება (ამ საკითხზე დამატებით იხ. ქვეთავი „ფისკალური წესები“).<sup>57</sup>

აღსანიშნავია, რომ მთავრობის ვალის მართვის სტრატეგიის მე-4 მიმართულებად განსაზღვრულია მთავრობის ვალის პორტფელის ხარჯისა და რისკის ოპტიმიზაცია. სტრატეგიაში მოცემულია პორტფელის რისკის შეფასების ინდიკატორები და დადგენილია შესაბამისი ზღვრები, თუმცა ხარჯის ინდიკატორ(ებ)ი სრულფასოვნად წარმოდგენილი არ არის. თავის მხრივ, ვალის დანახარჯების მინიმიზაცია ერთ-ერთი მთავარი ფაქტორია ვალის მართვის ოპტიმალური მიდგომების შემუშავების პროცესში.<sup>58</sup>

აღნიშნული ფაქტორების გათვალისწინებით, მიზანშეწონილია, გათვალისწინებული იქნას სახელმწიფო აუდიტის სამსახურის რეკომენდაცია და მთავრობის ვალის მართვის სტრატეგიაში აისახოს ვალის ხარჯების შეფასების ინდიკატორ(ებ)ი და სტრატეგიით განსაზღვრული მიზნობრივი მაჩვენებლების პოტენციური გავლენა ამ ინდიკატორ(ებ)ზე. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ყურადღება იქნა გამახვილებული სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მოხსენებებში 2022 და 2023 წლების სახელმწიფო ბიუჯეტის წლიური შესრულების ანგარიშებზე.

დიაგრამა 26. მთავრობის ვალის მომსახურების (პროცენტის) ხარჯები (მლნ ლარი) და მისი ფარდობა ნაერთი ბიუჯეტის შემოსავლებთან (%).<sup>59</sup>



\* აღნიშნავს პროგნოზს

<sup>57</sup> გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ 2021 წელს ევროობლიგაციების დაფარვისა და ახალი ევროობლიგაციების ემისიის შედეგად მნიშვნელოვნად იქნა შემცირებული აღნიშნულ ვალდებულებაზე მომსახურების ხარჯები. კერძოდ, 2011 წელს ემიტირებული ევროობლიგაციების ყოველწლიური მომსახურების ხარჯი 34.4 მლნ დოლარს შეადგენდა, ახალი ევროობლიგაციების ყოველწლიური მომსახურების ხარჯი კი 13.8 მლნ დოლარია.

2020-2021 წლებში, საპროცენტო ხარჯების ნაერთი ბიუჯეტის შემოსავლებთან ფარდობის შედარებით მაღალი მაჩვენებელი ძირითადად გამოწვეულია ამ წლებში ანტიკრიზისული ღონისძიებების გამო საგადასახადო შეღავათების დაწესებით, რის შედეგადაც შემცირდა შესაბამისი წლების ნაერთი ბიუჯეტის შემოსავლები.

<sup>58</sup> საერთაშორისო სავალუტო ფონდის (IMF) საჯარო სექტორის ვალის სტატისტიკის სახელმძღვანელო. პარაგრაფები 9.16-9.20.

<sup>59</sup> საპროგნოზო მონაცემები ეყრდნობა 2025 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონპროექტის საბოლოო წარდგენაზე თანდართულ 2025-2028 წლების ძირითადი ეკონომიკური და ფინანსური ინდიკატორების საბაზო სცენარით ნაერთი ბიუჯეტისთვის განსაზღვრულ მაჩვენებლებს.